საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 16 თებერვალი. 2018 წ. №34 (8435), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ბორჯომში ურთიერთჭამის იშტაზე არიან!

ამბიციები, ქედმაღლობა, სიჯიუტე და რევანშის სურვილი ბორჯომის მოსახლეობას აზარალებს!

4

6

როგორ აპირებს პატარა საქართველო დიდი მტრის აგრესიასთან გამკლავებას?

ვალერი ვაკილოვისა და ეფრემ ურუმაშვილის გარდა, ვის ეკუთვნის „ბიტფულის“ მილიონები?!

8

ნუ გავწირავთ იმ ისტორიულ მიღწევას, რასაც ევროპასთან უვიზო რეჟიმი ჰქვია!

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის არაერთი მოქალაქე არაკეთილსინდისიერად იყენებს იმ უდიდეს მიღწევას, რასაც შენგენის სივრცეში საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ჰქვია, – აცხადებს იუსტიციის მინისტრი, რომელიც გუშინ გერმანიიდან საქართველოს 19 მოქალაქის გამობრუნებას გამოეხმაურა. თეა წულუკიანის ვარაუდით, მგზავრებმა მესაზღვრეები ვერ დაარწმუნეს იმაში, რომ შენგენის სივრცეში შეღწევას კეთილი მიზნებისთვის ცდილობდნენ.

„შემიძლია, კიდევ ერთხელ მოვუწოდო ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, რომ ნუ გავწირავთ ქვეყნის უდიდეს მიღწევას, მე ვიტყოდი, ისტორიულ მიღწევას, რასაც ევროპასთან უვიზო რეჟიმი ჰქვია. მოვუფრთხილდეთ, რადგან ასეთი მიღწევები მრავალი თაობის შრომის შედეგია და ჩვენი ქვეყნის ხელის წამოკვრით ნუ მოვეპყრობით ძალიან დიდ წარმატებას. მე ეს ადრეც ვთქვი და ჩემთვის გაუგებარი კრიტიკა დავიმსახურე, რომ რამდენიმე არაკეთილსინდისიერი ადამიანის ქცევამ, შეიძლება მოიტანოს-მეთქი ქვეყნისთვის არასასურველი შედეგი. ახალი ამბავიც ამას ადასტურებს. მათ შორის გერმანიის ერთ-ერთი ფედერალური ხელისუფლებისადმი მიმართვები, რომ მათ აქვთ იმის აღქმა, საქართველოს მოქალაქეები კარგად არ იქცევიან და, შესაბამისად, შეიძლება გარკვეული ზომების მიღებაც მოითხოვონ. ამიტომ, გავფრთხილდეთ და დავიცვათ ის კანონი, რომელი ქვეყნის სივრცეში შეღწევასაც ვცდილობთ“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა „კოლხეთის ეროვნული პარკიდან 127 მეტრში – ემუქრება თუ არა საფრთხე ეკოლოგიას?

3

დონალდ ტრამპი: ამერიკულ სკოლებში მოსწავლეები და მასწავლებლები თავს დაუცველად არ უნდა გრძნობდნენ

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდის პარკლანდის სკოლაზე თავდასხმის ფაქტს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა. ტრამპმა თავდასხმის მსხვერპლთა ახლობლებს თანაუგრძნო და აღნიშნა, რომ ამერიკულ სკოლებში მოსწავლეები და მასწავლებლები თავს დაუცველად არ უნდა გრძნობდნენ.

აშშ-ში, ფლორიდის შტატის პარკლანდის სკოლაში სროლის შედეგად, სულ მცირე 17 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 20-მდე დაშავდა.

სამართალდამცავების ინფორმაციით, სროლაში ეჭვმიტანილი დაკავებულია და, სავარაუდოდ, ის მარტო მოქმედებდა. BBC-ის ცნობით, ცეცხლი ავტომატიდან 19 წლის მამაკაცმა გახსნა. ის სკოლის ყოფილი მოსწავლე ნიკოლას კრუზია. კრუზი სკოლიდან „დისციპლინური მიზეზის“ გამო გარიცხეს.

8

შავი ზღვის ქართული აკვატორია და ნატოს ინტერესები

11

ჯერ თავი მოიწაძლა, მერე ყყვია დაიცალო...

1. ჯავახეთში, ხევსურეთსა და ბარისახოში მინი საბაგიროები დამონტაჟდება

მინი საბაგიროები მომავალ წელს ჯავახეთში, ხევსურეთსა და ბარისახოშიც დამონტაჟდება – პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინდელ მთავრობის სხდომაზე მთის კურორტების განვითარების კომპანიის მიერ საბაგიროების დამონტაჟებასთან დაკავშირებით მოსახლეობის პოზიტიურ გამოხმაურებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მთავრობა არც ერთ ასეთ გამოხმაურებას უყურადღებოდ არ დატოვებს.

16-17 თებერვალს ბაკურიანში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით გაიმართება შეჯიბრი „სკი კროსში“ (Ski Cross), რომელშიც ჩვენი 8 მოთხილამურე მიიღებს მონაწილეობას. სპორტსმენები ჩამოსულები არიან ავსტრიიდან, ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, ავსტრალიიდან, ყაზახეთიდან და მათ ბაკურიანში მოპოვებული ქულები გამოადგებათ მსოფლიო თასის ეტაპებში მონაწილეობისთვის, რადგან ის აძლევს შესაძლებლობას ასეთ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დიდველის სათხილამურო ტრასის შეჯიბრისთვის მოსამზადებლად ჩამოსული არიან „სკი კროსის“ მსოფლიო კლასის ტრასის დიზაინერ-მშენებლები და მათ სპეციალურად მოაწყვეს ტრასა ამ შეჯიბრებისთვის, რომლის ჩატარებაც უკვე არის ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება საქართველოსთვის და ეს არის მოსამზადებელი ეტაპი 2023 წელს საქართველოში მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად ფრისტაილში, სნოუბორდში. მოგეხსენებათ, ჩვენ შეტანილი გვაქვს განაცხადი, რომ საქართველოში 2023 წელს ჩატარდეს მსოფლიო ჩემპიონატი, რაც იქნება ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება და წინ გადადგმული ნაბიჯი. ამ შეჯიბრს აქვს კიდევ ერთი დატვირთვა. მოგეხსენებათ, რომ „სკი კროსი“ შევიდა ზამთრის სპორტის ოლიმპიურ სახეობებში, ამიტომ ჩვენთვის, როგორც ქვეყნისთვის, რომელსაც 2030 წელს გააჩნია ამბიცია, რომ საქართველოში ჩავატაროთ 26-ე ზამთრის ოლიმპიადა, არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ

ჩვენ უკვე ოლიმპიური ზამთრის სპორტის სახეობებს ვმასპინძლობთ საერთაშორისო მასშტაბით.

2. კასპსა და ცაგერში სათიბ-საძოვრები 25-წლიანი იჯარით ორ კოოპერატივს გადაეცემა

კასპისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში 1 200 ჰექტარზე მეტი სათიბ-საძოვარი 25-წლიანი იჯარით 2 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცემა, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ დავიწყეთ ახალი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენებას. ამ პროგრამის მიზანი გახლავთ ის, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს და მთიდან მიგრაცია შევაჩეროთ. სწორედ ამ მიზნით, დღეს ჩვენ გამოგვაქვს მთავრობაზე კასპისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში 1200 ჰა-ზე მეტი ფართობის მიწის სათიბ-საძოვრის 25-წლიანი იჯარით გადაცემა ორი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის, რომლითაც ისარგებლებს 43 ადგილობრივი ოჯახი და მათ ჰყავთ 400-ზე მეტი სული საქონელი. ასევე, ამ ოჯახებს არ ექნებათ იმის შიში, რომ ეს საძოვრები შეიძლება რაიმე კუთხით სხვა მიმართულებით გასხვისდეს და ეს იქნება დამაგრებული კონკრეტულად ამ ორ კოოპერატივზე. რა თქმა უნდა, ეს პროცესი გაგრძელდება, ეს ასევე იქნება კოოპერაციის წამახალისებელი სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, მეცხოველეობაში. ასეთი წარმატებული მაგალითები ჩვენ უკვე გვაქვს.

3. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი დამკვიდრდება...

– პარლამენტში მთავრობის დამტკიცების დროს, სიტყვით გამოსვლისას, მე ვისაუბრე, რომ ჩვენ ვიწყებთ მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მეორე ტალღას, მას შემდეგ, რაც წარმატებით ხორციელდება პროგრამები – „აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული პროგრამები – „დანერგე მომავალი“ და ა.შ. ჩვენ შემოვდივართ ახალი ინიციატივით და მინდა, მადლობა გადავუხადო მამუკა ბახტაძეს, რომელმაც ძალიან საინტერესო საკანონმდებლო პაკეტის ინიცირება წარმოადგინა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ახალი საგადასახადო ინიციატივა ითვალისწინებს მცირე მეწარმეებისათვის დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის დაწესებას. კერძოდ, მცირე მეწარმეებისთვის 5-ჯერ ვამცირებთ ბრუნვის გადასახადს და 5%-ის ნაცვლად იქნება 1%-იანი ბრუნვის გადასახადი.

ამასთან, მცირე ბიზნესად დღეს თუ ითვლება 100 000 ლარამდე ბრუნვის მქონე საწარმო, ამ კატეგორიაში 500 000 ლარამდე ბრუნვის საწარმო ჩაითვლება და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი შვება მცირე მეწარმეობით დაკავებული ადამიანებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი შემცირება საგადასახადო ტვირთის და, რა თქმა უნდა, წახალისება ახალი მეწარმეებისა, რომელთაც სურთ საქმიანობის წამოწყება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მეწარმეები აიტაცებენ ამ ინიციატივას, გაჩნდება ახალი საწარმოების შექმნის ინიციატივები და ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ახალი ჟანგბადი მცირე მეწარმეებისთვის, მათი საწარმოების განვითარებისთვის, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში უპრეცედენტო პრაქტიკაა

– **პრემიერ-მინისტრის** ინიციატივით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა ახალი რეფორმა, რომელიც გულისხმობს მცირე მეწარმეობის წახალისებას საქართველოში.

ჩვენი ამოცანაა, რომ მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვანად გავზარდოთ საშუალო და მცირე ბიზნესის წილი. აღნიშნული რეფორმა გულისხმობს უპრეცედენტო პრაქტიკის დაწესებას, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში. ჩვენ შევამცირებთ გადასახადებს 5-ჯერ მცირე მეწარმეებისთვის. კერძოდ, ჩამოვალთ 5% -დან 1% -იან ნიშნულამდე და ამასთან ერთად, მცირე მეწარმის სტატუსს მიიღებს ყველა ფიზიკური პირი, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატება ნახევარ მილიონ ლარს. ესეც არის 5-ჯერ გაზრდა არსებული 100-ათასიანი ნიშნულისა. აღნიშნული რეფორმა წარმოადგენს ახალი ტალღის ნაწილს და, ბუნებრივია, აღნიშნულ რეფორმას მოჰყვება სხვა ახალი საგადასახადო ინიციატივები, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

დიმიტრი ქუმსიშვილი ილჰამ ალიევს შეხვდა

პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი აზერბაიჯანში ვიზიტით იმყოფება, სადაც სამხრეთის გაზის კორიდორის მრჩეველთა საბჭოს მე-4 მინისტერიალში მონაწილეობს. მინისტერიალი აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილ-

ჰამ ალიევმა გახსნა. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს, სადაც ორ ქვეყანას შორის მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. მინისტერიალის ფარგლებში საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა ასევე ორმხრივი შეხვედრები გამართა თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრთან ბერატ ალბარაიქსთან და კომპანია „ბიპის“ რეგიონალურ პრეზიდენტთან გარი ჯონსთან.

„სამხრეთის გაზის კორიდორით“ საქართველოსა და თურქეთის გავლით, ევროპისთვის აზერბაიჯანული გაზის მიწოდება უნდა მოხდეს. გაზსადენი მომავალში დაუკავშირდება ტრანსანატოლიურ (TANAP) და ტრანსადრიატიკულ (რაპ) გაზსადენებს, რომლის შედეგადაც შაჰ-დენიზის საბადოდან მოპოვებული გაზი საბოლოოდ ევროპის ბაზარზე შევა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური 2019 წლის პირველი იანვრიდან შეიქმნება

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი მთავრობის სხდომაზე ერთხმად დამტკიცდა. **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური 2019 წლის პირველი იანვრიდან შეიქმნება.**

როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ იუსტიციის მინისტრმა განმარტა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ორი უმთავრესი ფუნქციით იქმნება. მისივე თქმით, ის არ იქნება დევნის ორგანო და ეს ფუნქცია რჩება პროკურატურას.

„პირველი იქნება სამართალდამცავი სტრუქტურების და მათი წარმომადგენლების მიერ ჩადენილი ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულის გამოძიება, ეს გახლავთ წამება, წამების მუქარა, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა და დანაშაული, რომელიც შეიძლება ასეთმა პირმა ჩაიდინოს ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, ან მსხვერპლის პირადი ღირსების შეურაცხყოფით. მეორე უმნიშვნელოვანესი მიმართულება სახელმწიფო ინსპექტორისა, ზუსტად ის ფუნქციები იქნება, რასაც დღეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ახორციელებს.

ჩვენ არ ვქმნით ახალ პროკურატურას, ვქმნით საგამოძიებო დამოუკიდებელ ახალ ორგანოს. დევნის ფუნქცია დარჩება პროკურატურაში, მაგრამ კანონპროექტში ჩადებულია სხვადასხვა გარანტია იმასთან დაკავშირებით, რომ, მაგალითად, თუ ინსპექტორს, გამომძიებელსა და ზედამხედველ პროკურორს შორის იქნება აზრთა სხვადასხვაობა, დაიწყოს თუ არა დევნა, ასეთ შემთხვევაში, ინსპექტორს ჰქონდეს მთავარი პროკურორისადმი მიმართვის საშუალება, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს“, – განმარტა თეა წულუკიანმა.

მერიის ურბანულ სამსახურს ვახტანგ ჯოხაძე უხელმძღვანელებს

დედაქალაქის მერმა ურბანული სამსახურის ხელმძღვანელად ვახტანგ ჯოხაძე წარადგინა. კახა კალაძის თქმით, ჯოხაძის კანდიდატურა საკრებულოს გადაეგზავნება.

„ახალი საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელად ვახტანგ ჯოხაძის კანდიდატურას წარვადგენ. ის პროფესიით ურბანისტია. აქვს ამ მიმართულებით მუშაობის დიდი გამოცდილება როგორც კერძო სექტორში, ასევე საჯარო სამსახურში. მინდა, წარმატებები ვუსურვო ვახტანგს და დარწმუნებული ვარ, ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ პრობლემების მოგვარებას“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ამაზე საუბრობს დეგრადირებული „ნაციონალური მოძრაობა“!

კახა კალაძე სიცრუეს უწოდებს ოპოზიციის განცხადებას, რომლის თანახმადაც სახელფასო ფონდი იზრდება.

„ოპოზიცია არა, ამაზე საუბრობს გაკოტრებული პოლიტიკური პარტია, დეგრადირებული „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც არის გამარგინალებული პოლიტიკური პარტია. შესაბამისად, ის განცხადებები, რაც ჩვენ მოვისმინეთ, არის დიდი ტყუილი და სიცრუე. სახელფასო ფონდი არც ერთი თეთრით არ გაიზრდება!“

შეიქმნება „სამხედრო შენგენის“ შტაბი

ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ევროპულ საზღვრებში „სამხედრო შენგენის“ მსგავსი შტაბის შექმნაზე შეთანხმდნენ. Dailysabah-ის ინფორმაციით, შტაბის უფლებამოსილებაში ევროპაში ძალების გადასროლა შევა.

თავდაპირველად ეს იდეა ევროპაში აშშ-ის ქვეითი არმიის ყოფილმა გენერალ-ლეიტენანტმა ბენ ჯოდჯესმა წამოაყენა. მისი თქმით, მოკავშირეების არმია და ტექნოლოგია ისევე სწრაფად უნდა გადაადგილდებოდეს, „როგორც მიგრანტები ევროპაში“.

ხოჯესის იდეას მხარი რიგმა ქვეყნებმა დაუჭირა, მათ შორის ლიტვამ, ესტონეთმა და ნიდერლანდებმა. ექსპერტები ამ საქმის განხორციელების სირთულეებზე მიუთითებენ, კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნების ქუჩები და ხიდები პოტენციურად არ არის განკუთვნილი მძიმე სამხედრო ტექნიკის გადაადგილებისთვის, გვირაბები არც ისე მაღალია, ხოლო ასაფრენი ბილიკები სამხედრო ავიაციას სრულყოფილად ვერ მოემსახურება.

ვენეციის კომისიის ახალი რეკომენდაციები

„ძალიან პოზიტიურად აღქმული და მიღებულია, რომ ის რეკომენდაციები, რომლებიც ვენეციის კომისიამ გაგვიზიარა, ფაქტობრივად, სრულად არის გათვალისწინებული და საბოლოო ცვლილებებში აისახება“, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამარ ჩუგოშვილმა განუცხადა.

ჯოზეფ მარია კასტელა ანდრეუსთან და ზია კაგა ტანიართან გამართულ შეხვედრაზე საკონსტიტუციო რეფორმის მიმდინარეობა განიხილეს და იმ ცვლილებებზე იმსჯელეს, რომელსაც საქართველოს პარლამენტი მესამე მოსმენით მარტში უყრის კენჭს.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, ვენეციის კომისიის ექსპერტების მოკლევადიანი ვიზიტი ბოლო ცვლილებების შესახებ მოსაზრებების გაცვლას ემსახურება.

„ვენეციის კომისია სრულად არის ჩართული საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესში და მისი დაწყების ეტაპიდან დასასრულამდე ძალიან აქტიურ მონაწილეობას იღებს. ჩვენ ვენეციის კომისიას გავუგზავნეთ ბოლო ცვლილებების მეორე მოსმენით მიღებული ვერსია, რომელიც ძირითად ტექსტში სწორედ მათი რეკომენდაციების ასახვას ემსახურებოდა. ეს არის საკმაოდ მოკლევადიანი ვიზიტი, რომელიც ამ ცვლილებების თაობაზე ერთმანეთში მოსაზრებების კიდევ ერთხელ გაცვლას ემსახურება. რა თქმა უნდა, ძალიან პოზიტიურად აღქმული და მიღებულია, რომ ის რეკომენდაციები, რომლებიც ვენეციის კომისიამ გაგვიზიარა, ფაქტობრივად, სრულად არის გათვალისწინებული და უკვე საბოლოო ცვლილებებში აისახება“, — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

შვედეთმა 2017 წელს თავშესაფარი საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ მისცა!

შვედეთის საიმიგრაციო სააგენტოს ინფორმაციით, 2017 წელს ქვეყანამ თავშესაფარი საქართველოს არცერთ მოქალაქეს არ მისცა. სტატისტიკის მონაცემებით, გასულ წელს საიმიგრაციო სამსახურმა საქართველოს 963 მოქალაქის მიმართვა განიხილა.

შარშან შვედეთში თავშესაფარი სულ საქართველოს 1105 მოქალაქემ მოითხოვა. ამ მაჩვენებლით, საქართველოს სირია, ერაყი, ერიტრეა და ავღანეთი უსწრებენ. რაც შეეხება 2016 წელს, 738 მიმართვა აღირიცხა. 1 192 განხილული საქმიდან კი მხოლოდ 16 დაკმაყოფილდა.

შვედეთს 2015 წლის განმავლობაში 163 000-მა მიგრანტმა მიმართა თავშესაფრის თხოვნით. მათგან 55 პროცენტი დაკმაყოფილდა. შვედეთმა და ისლანდიამ, ევროკავშირის საბჭოს სავიზო ჯგუფის შეხვედრაზე, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში ბრიუსელში გაიმართა, საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა მაჩვენებლის მატებაზე საკითხი დააყენეს.

გია გეწაძე თანამდებობიდან გათავისუფლდა

უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა გია გეწაძე იუსტიციის მინისტრის მოადგილის პოსტიდან გაათავისუფლა. უკრაინის მინისტრთა კაბინეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განკარგულებაში ნათქვამია, რომ გეწაძე პოსტიდან საკუთარი სურვილით გათავისუფლდა.

გია გეწაძე იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობას 2015 წლის თებერვლიდან იკავებდა. ის პასუხისმგებელი იყო ანტიკორუფციულ საქმიანობაზე და სახელმწიფო სარეგისტრაციო სამსახურების რეფორმირებაზე.

როსტომაშვილი ჩემს შვილს ცხელში სცემდა და ფიზიკურად სწორედ ამიტომ გაუსწორდა!

იუმორისტ დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებულის ბექა კირვალიძის დედა აცხადებს, რომ როსტომაშვილი პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობისას მის შვილს სცემდა და 2017 წლის 14 ივნისს კირვალიძე როსტომაშვილს შურისძიების მოტივით დაესხა თავს. კირვალიძის დედა ითხოვს, მისი შვილის მიმართ წარდგენილი ბრალიდან ყაჩაღობის მოტივი ამოიღონ.

მსახიობ და იუმორისტ დავით როსტომაშვილზე თავდასხმის საქმეზე გუშინ სასამართლოში მსახიობის შვილი ქეთევან როსტომაშვილი დაიკითხა. მან სასამართლოს ჩვენება დახურულ სასამართლო სხდომაზე მისცა. ქეთევან როსტომაშვილი 2017 წლის 14 ივნისს თავდასხმისას მამამისთან ერთად იმყოფებოდა. დავით როსტომაშვილზე თავდასხმის საქმეზე პასუხისგებაში სამი პირი — ბექა კირვალიძე, ზურაბ ქუთელია და არტემ აგაჯანოვია მიცემული. მათ ბრალად დაყაჩაღების მიზნით მსახიობზე თავდასხმა ედებათ.

ეკონომიკა თუ ეკოლოგია?! - ერთიც და მეორეც!

ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა „კოლხეთის ეროვნული პარკიდან 127 მეტრში - ემუქრება თუ არა საფრთხე ეკოლოგიას?

ხობის რაიონში, ყულევის ტერიტორიაზე, მილიარდ ლარად შეფასებული ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით ინფორმაცია ცოტა ხნის წინათ გავრცელდა. როგორც აღმოჩნდა, მშენებლობაზე საბოლოო ნებართვა ჯერ გაცემული არ არის. საქმე ეხება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის დადებით დასკვნას, რომლის მიღებამდე მშენებლობის დაწყება კანონით დაუშვებელია. როგორც თავად პროექტის წარმომადგენელი, შპს „ფაზის ოილის“ დირექტორი **გია შავდია** აცხადებს, ნებართვა გაცემულია ქარხნის მშენებლობაზე და ის ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს. გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით კი მუშაობა არ დასრულებულა.

რაც შეეხება თავად გარემოს დაცვის სამინისტროს პასუხს, როგორც გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **მაია ბერაძემ** განაცხადა, ქარხნის მშენებარე კომპანიამ სამინისტროში გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიში წარმოადგინა, თუმცა სამინისტროს მხრიდან არაერთი შენიშვნა გამოვლინდა. შედეგად, კომპანიას მიეცა გონივრული ვადა გამოასწოროს ხარვეზები. სწორედ ამ პროცესის შემდეგ ხდება საბოლოო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემაც.

სანამ საბოლოო ეკოლოგიური ექსპერტიზა არ გაიცემა, მშენებლობის დაწყება დაუშვებელია. ეს ხდება სწორედ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესწავლის შემდეგ. საქმის განმახორციელებელმა კომპანიამ ჯერ მხოლოდ პირველი ეტაპი გაიარა, ამიტომ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. კომპანიას საკმაოდ ბევრი შენიშვნა გაეგზავნა და სანამ მას არ გამოასწორებს, მშენებლობას ვერ დაიწყებს, — აღნიშნავს ბერაძე.

„ვადასტურებ, რომ ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ნამდვილად ძალიან ახლოს, 127 მეტრში შენდება „კოლხეთის ეროვნული პარკისგან“. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, კომპანიამ სრულად შეისწავლოს საწარმოს ზეგავლენა გარემოზე და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინოს“, — განმარტავს ბერაძე.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ტერიტორიასთან ახლოს „კოლხეთის ეროვნული პარკი“ მდებარეობს, „კომერსანტი“ დაინტერესდა, რამდენად რენტაბელურია ზოგადად მშენებლობის დაწყება ყულევში. სპეციალისტებმა არსებებული ვითარება სკეპტიკურად შეაფასეს. როგორც „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელი **ნინო ჩხობაძე** ამბობს, აღნიშნულ ტერიტორიაზე ქარხნის ფუნქციონირებამ შესაძლოა, არაერთი პრობლემა წარმოშვას.

„იქ არის „კოლხეთის ეროვნული პარკი“ და ასევე შენდება მასშტაბური ობიექტი — ფოთის პორტის სახით. ამასთან, ამ ტერიტორიაზე არამდგრადი გრუნტია და ძალიან ახლოსაა მიწისქვეშა წყლებიც, რაც პრობლემაა. ძალიან დიდი თანხა იქნება საჭირო იმისთვის, რომ არაფერი დაზიანდეს და რამდენად ღირს ან რამდენად რენტაბელურია ამის შემდეგ მშენებლობა, ეს საეჭვოა. დავამატებ, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დადებითი დასკვნა თუ არ იქნა, შესაძლოა, დაირღვეს რამსარის კონვენციაც (კონვეცია, რომელიც იცავს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგის ტერიტორიებს), რომელიც უმძიმესი წესდებაა და თუ მას დაარღვევ, გაეროდან გრიცხავენ“, — აღნიშნავს ჩხობაძე.

ხობში, ყულევის ტერიტორიაზე მილიარდდოლარიანი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობის დაწყება სექტემბერში იგეგმება. ამის შესახებ ფოთის ადმინისტრაციულ შენობაში საჯარო განხილვაზე საზოგადოებას შპს „ფაზის ოილის“ თავმჯომარემ გაი შავდიამ განაცხადა. ცნობილია, რომ ქარხნის წარმადობა გათვლილია 4 მლნ ტონა ნავთობის გადამუშავებაზე და ის აწარმოებს „ევრო 5 სტანდარტის, ან მისი ეკვივალენტური, ან საქართველოს კანონმდებლობთ დადგენილი სტანდარტების მსუბუქ და საშუალო დისტილატებს და სხვა ნავთობპროდუქტებს.

სალომე ლემონჯავა

ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲔᲑᲘ, ᲥᲔᲓᲛᲐᲚᲚᲝᲑᲐ, ᲡᲘᲯᲘᲣᲢᲔ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲡ!

რატომ დამარცხდა ქვეყნის მმართველი პარტია ბორჯომში? რამ განაპირობა დამარცხება? ვინ, როგორ წარმართავდა საარჩევნო შტაბის მუშაობას? რა პრინციპით შეირჩა დეპუტატობის კანდიდატები? და ბოლოს, გვინდა ვიცოდეთ, არის კი „ქართული ოცნების“ პარტიული ორგანიზაცია ბორჯომში და თუ არის, რა მუშაობას ეწეოდა არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისთვის ან დღეს რას აკეთებს იმისათვის, რომ შექმნილი ვითარებიდან გამონახონ ოპტიმალური გამოსავალი?

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ისტორიის საკუთრება გახდა. მისი საბოლოო შედეგები ყველასათვის ცნობილია. არჩევნებში სახელისუფლო პარტიამ — „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციურ პარტიებზე დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, „ქართულმა ოცნებამ“ ბორჯომში პირველ ტურში 55,7-პროცენტიანი ზღვარი გადალახა და საკრებულოში მხოლოდ 13 ადგილი მოიპოვა, „პატრიოტთა ალიანსმა“ — 11, დანარჩენი ოთხი ადგილი „ნაცმოძრაობამ“, „ევროპულმა საქართველომ“ და „ლეიბორისტებმა“ გაინაწილეს.

მუნიციპალიტეტის მერის ასარჩევად მეორე ტური დაინიშნა, სადაც ᲚᲔᲕᲐᲜ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ მეტოქეზე დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

აქ ერთი ნიუანსია საინტერესო. „პატრიოტთა“ პარტიის ლოდერი ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ადრეც და დღესაც ხმამაღლა აცხადებს, „ნაცმოძრაობა“ და მისი ლიდერები უნდა გასამართლდნენო და ხელისუფლებისგანაც ითხოვს სამართლიანობის აღდგენას. ამ დროს ბორჯომში პატრიოტებმა ალოგიკური გადაწყვეტილება მიიღეს, — „ნაცმოძრაობას“ და „ლეიბორისტებს“ მეგობრული ხელი გაუწოდეს, საკრებულოში უმრავლესობა მოიპოვეს და... მუშაობასაც შეუდგნენ.

პირველი სხდომა როგორი აურზაურით ჩატარდა, მკითხველებისთვის კარგადაა ცნობილი. მას შემდეგ ოთხი თუ ხუთი სხდომა გაიმართა, „ოცნების“ დეპუტატები ბოიკოტის რეჟიმში არიან და სხდომებს არ ესწრებიან...

მიზეზების გასარკვევად არაერთხელ მივაკითხეთ „ოცნების“ ლიდერებს, მაგრამ მათგან ვერანაირი არგუმენტირებული პასუხი ვერ მივიღეთ, ისინი თავს არიდებენ ჟურნალისტების კითხვებზე პასუხის გაცემას.

არის სხვა კითხვებიც, რომლებზეც პასუხები არამარტო რედაქციას, არამედ ბორჯომის მოსახლეობასაც აინტერესებთ.

როგორც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ პოლიტოლოგი **ვაჟა შუბითიძე** წერს, **„რეგიონში „ქართული ოცნება“ ფაქტობრივად აღარ არსებობს და იგი შეეზარდა საკრებულოს და გამგეობებს, პარტია გაივსო ყოფილი ნაცებით. თანამდებობის პირთა დიდ უმრავლესობას ამოძრავებს არა სახელმწიფო ინტერესები და ქვეყნისათვის უანგარო სამსახური, არამედ პირადი გამორჩენა და საკუთარ ბიზნესზე ზრუნვა. კვლავ ამოქმედდა „კრიშების სისტემა“, ნეპოტიზმი, ფულიანი ხალხის ძებნა და თანამდებობებზე დანიშვნა, ასეთია პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთა 95 პროცენტი, უკეთესი მდგომარეობა არც ადგილობრივ საკრებულოებშია. პარტიის ხელმძღვანელობა ფაქტობრივად ხელში ჩაუვარდათ საშუალო რგოლში მოკალათებულ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს, რომლებმაც ტენდენციურად შეარჩიეს საპარლამენტო და საკრებულოების შემადგენლობები, ამიტომ ამ ადამიანებს ხალხის მხარდაჭერა არ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ეს არის ხვალინდელი მარცხი, ხალხმა ისევ ივანიშვილის ხათრით და ნაციონალების დაბრუნების შიშით დაუჭირა მხარი „ქართულ ოცნებას“.**

ბორჯომში „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატები პირწმინდად დამარცხდნენ ქალაქის სამ საარჩევნო უბანში, რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ. „ქართულმა ოცნებამ“ გამარჯვება ძირითადად სოფლებში იზეიმა, თუმცა ტაძრისში, ტბაზე და ახალდაბაში დამარცხდნენ.

გვაინტერესებს, დეპუტატობის კანდიდატები რა დამსახურებით შეარჩიეს, მუშაობის რა გამოცდილება ჰქონდათ და როგორი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობაში. საარჩევნო შტაბი როგორ დონეზე წარმართავდა სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას, იყენებდა თუ არა პრესას, ტელევიზიას? სამწუხაროდ, გაზეთ „ბორჯომში“ „ქართული ოცნების“ შტაბიდან ამომრჩეველთა მამობილიზებელი არცერთი წერილი არ გამოქვეყნებულა. დავუშვათ, გაზეთი „ბორჯომი“ არ მოსწონდათ და ბოიკოტს გვიცხადებდნენ (სხვათაშორის ჩვენ მიერ მიტანილ კითხვებს არ უპასუხეს, უფრო მეტიც, როცა კითხვარი მოვიკითხეთ, ვერ იპოვეს, დაეკარგათ!). ხომ იყო მეორე გაზეთი „ჩვენი ბორჯომი“, სამწუხაროდ, არც იმ გაზეთში გამოქვეყნებულა რაიმე არსებითი მნიშვნელობის სააგიტაციო წერილი.

საკვირველია, ვინ და რატომ შეაჯავრა მოსახლეობას „ქართული ოცნება“, ნუთუ არაფერი დადებითი არ გაკეთებულა ბორჯომში, თუნდაც ბოლო სამ წელიწადში. არადა, სასიკეთო საქმეების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მერწმუნეთ, სულაც არ ვაპირებ გუნდრუკი ვუკმიო რაიონის ყოფილ ხელისუფლებას, მაგრამ განვლილ სამ წელიწადში გაკეთებულის დაუნახაობა უმადურობაა. თუმცა არც გაუკეთებელზე ან ცუდად გაკეთებულზე დაგვიხუჭავს თვალი.

ახლა ხშირად გვესმის, ბორჯომის მოსახლეობამ ადგილობრივ არჩევნებში გამოავლინა მაღალი დემოკრატიული ცნობიერება და სახელისუფლებო პარტიის ნაცვლად ხმა მისცა ოპოზიციურ პარტიებსო.

ეს პოსტულატი ძირშივე მცდარია. არჩევნებში მკაფიოდ გამოიკვეთა „ქართული ოცნების“ გულარხეინი, არასერიოზული დამოკიდებულება არჩევნებისადმი. ამ საქმეში ოპოზიციური პარტიები ბევრად ორგანიზებულად და პასუხისმგებლობით მოქმედებდნენ.

ვიცი, „ოცნების“ შტაბის წევრები თავიანთი არგუმენტებით თავს გაიმართლებენ, მაგრამ გვაქვს კიდევ ერთი კითხვა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელთა საყურადღებოდ, ამომრჩევლებთან თუ ასე კარგად და ნაყოფიერად იმუშავეს, რატომ გახდა საჭირო მეორე ტურში „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისიდან ბორჯომში წარმომადგენელთა გამოგზავნა და ფაქტიურად, დამოუკიდებლად მეორე შტაბის შექმნა-ფუნქციონირება?

საკრებულოს დეპუტატებს შორის ურთიერთბრალდებები კვლავ ისმის. „პატრიოტები“ ყველა სხდომაზე ხმამაღლა აცხადებენ: „ოცნების“ დეპუტატები სხდომებზე არ მოდიანო, „ოცნების“ დეპუტატები პასუხობენ, კიდეც რომ მოვიდეთ, რა შეიცვლება, ჩვენს თუნდაც არგუმენტირებულ წინადადებას, მოწინააღმდეგე მხარს არ დაუჭერსო.

როგორც ჩანს, ორივე მხარე „მართალია“, ორივე მხრიდან დასაძლევია პატივმოყვარეობა და ამბიციები, ამასობაში ზარალდება მოსახლეობა. დრო ნამდვილად არ მუშაობს საკრებულოს დეპუტატთა სასარგებლოდ. კარგია, რომ საკრებულომ დაამტკიცა რაიონის ბიუჯეტი, მაგრამ თვალნათლივ იგრძნობა მერიასა და საკრებულოს შორის დაძაბული დამოკიდებულება, თუნდაც ის ფაქტი, რომ 31 იანვარს და 1 თებერვალს საკრებულოს სხდომა ვერ გაიმართა და განხილვის გარეშე დარჩა ოპერატიულად გადასაწყვეტი საკითხები, რომლებიც ეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრას (ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პერსონალს ხელფასები დღემდე არ მიუღიათ). ასევე გვიანდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებით შემოსული 4 444 528 ლარის, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 2 495 666 ლარის განაწილება, რის გამოც ფერხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ტენდერების გამოცხადება, ამის გარეშე ბორჯომის მუნიციპალიტეტი სერიოზულად დაზარალდება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისამართით მოსახლეობიდან არასასიამოვნო ხმები ისმის, დრო კი ნამდვილად არ ითმენს, საკურორტო ზონაში უამრავი საქმეა მოსაგვარებელი, გასაკეთებელი, ასაშენებელი, არც საკურორტო სეზონია ცხრა მთას იქით. ბატონებო, დროა, დავამთავროთ ურთიერთბრალდებები, დიალოგის რეჟიმში შეთანხმდით ერთობლივი საქმიანობისათვის, პატივი ეცით თქვენს ამომრჩევლებს და საერთოდ რაიონის საზოგადოებას.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ.
ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲬᲚᲐ

P. S.

ᲙᲕᲝᲠᲣᲛᲘᲡ **უქონლობის გამო 1 და 14 თებერვალს საკრებულოს სხდომები კვლავ გადაიდო! დეპუტატებმა კვლავ გააჟღერეს — „ოცნებისტები“ არ მოდიან და ვერ ვატარებთ სხდომებსო. ვეღარ მოვითმინე და ერთ-ერთ დეპუტატს ვუთხარი, თუ ისინი არ მოდიან, თქვენ მიდით და დაელაპარაკეთ, საერთო ენა გამონახეთ, ხომ ხედავთ, შეუთანხმებელი მუშაობის გამო საერთო საქმე ზარალდება.**

— ჩვენ რატომ უნდა მივიდეთ, ისინი მოვიდნენო, — მომიგო ამაყად.

ამბიციები, ქედმაღლობა, პატივმოყვარეობა, სიჯიუტე, რევანშის სურვილი ვიგრძენი „ოცნებაზე“ „გამარჯვებული“ დეპუტატისგან. არადა, როგორც ვატყობ, დღეს ამომრჩევლების და, საერთოდ, რაიონის წინაშე ერთიც დამარცხებულია და მეორეც. მერედა, როდემდე აპირებენ ასე ყოფნას დეპუტატები! ნუთუ ასეთი დამოკიდებულებით შეასრულებენ ამომრჩეველთა განაწესს და ააღორძინებენ ბორჯომს?

10 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲐᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ

ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ „ამერი დეველოპმენტი“ თბილისში სასტუმროს ააშენებს. ამ მიზნით კომპანიამ ოთარ ჭილაძის ქუჩა №9 მდებარე 3668.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 3,8 მლნ ლარად შეიძინა.

აუქციონის პირობების მიხედვით, ინვესტორი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 42 თვეში მინიმუმ არანაკლებ 80 ნომერზე გათვლილი სასტუმრო და თანმდევი ინფრასტრუქტურა ააშენოს.

პროექტის განხორციელებაში „ამერი დეველოპმენტს“ მინიმუმ 10 მლნ ლარის ინვესტიციის განხორციელება მოუწევს.

მოაზროვნე და პიროვნება

ოთარ ჯიოევი (ჯიოთი) – 90

მიმდინარე წლის 16 თებერვალს გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ფილოსოფიური სკოლის გამორჩეულ წარმომადგენელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს – **ოთარ ჯიოევს (ჯიოთის)** * (1928-1999) დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. ო. ჯიოევი იმ ქართველ ფილოსოფოსთა გვერდით იყო, ვინც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ფილოსოფიის ახალ აღმავლობაში.

ოთარ ჯიოევი დაიბადა 1928 წლის 16 თებერვალს თბილისში. 1945 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-19 სკოლა და სწავლა გაგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1949 წელს იგი გადავიდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1950 წელს. ამის შემდეგ ის ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1951-1954 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტია.

1955-1957 წლებში ო. ჯიოევი მუშაობდა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად. 1957 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტშია ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1970 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ისტორიული მატერიალიზმის განყოფილებას, რომელიც საბჭოთა პერიოდის ბოლო ხანებში გადაკეთდა კულტურის ფილოსოფიის განყოფილებად.

ო. ჯიოევმა 1957 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1972 წელს კი სადოქტორო დისერტაცია. 1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. გარდაიცვალა 1999 წელს.

ო. ჯიოევი საფუძვლიანად იკვლევდა ისტორიული აუცილებლობის ბუნებას, ისტორიის ფილოსოფიის, კულტურის ფილოსოფიის, კულტურის, ზნეობისა და შემოქმედების, ისტორიზმისა და ჰუმანიზმის საკითხებს. ამ საკითხების გაშუქებასა და პრობლემების კვლევას მან მიუძღვნა ფუნდამენტური გამოკვლევები: „ისტორიული აუცილებლობის ბუნება“ (1967. რუსულ ენაზე), „ისტორიის მატერიალისტური გაგება და ბურჟუაზიული ფილოსოფია“ (1974. რუსულ ენაზე), „კულტურა და ფილოსოფია“ (1983), „კულტურა და ადამიანის ცხოვრება“ (1985), „რა არის კულტურა?“ (1986), „კულტურის საზრისი“ (1990, რუსულ ენაზე) და სხვა. აღარაფერს ვამბობთ უამრავ წერილსა და სამეცნიერო სტატიაზე, სადაც განხილულია აღნიშნული საკითხები და გამოქვეყნებულია ქართულ და უცხო ენებზე.

ო. ჯიოევის მეცნიერულ მოღვაწეობაში საეტაპო იყო მისი მონოგრაფია – „ისტორიული აუცილებლობის ბუნება“. იმის მიუხედავად, რომ მისი კვლევა-ძიებანი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველგან იგრძნობა აღნიშნულ ფუნდამენტურ მონოგრაფიაში გატარებული აზრების კვალი.

ო. ჯიოევის ამ უმნიშვნელოვანესი გამოკვლევიდან ერთ მომენტს მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას, სადაც ისტორიის ობიექტური კანონზომიერების პირობებში რა ვითარებაში და როგორ შეიძლება შეინარჩუნოს ადამიანმა დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მისი აღნიშვნით, თავისუფლება, როგორც დეტერმინაციის ფორმა – „იმ შემთხვევაში იქნება განსხვავებული დეტერმინაციის ფორმებისგან, თუ აღმოჩნდება, რომ პიროვნებაზე მოქმედება შეუძლია არა მხოლოდ მატერიალურს, არამედ იდეალურსაც. მაშინ თავისუფლება, როგორც დამოუკიდებლობა, იქნება ნამდვილი თავისუფლება ფიზიკური, მატერიალური დეტერმინაციისგან“.



ო. ჯიოევს ასევე დიდი წვლილი მიუძღვის კულტურისა და ფილოსოფიის მიმართების გარკვევაში. ამ საკითხს მან მიუძღვნა სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი – „კულტურა და ფილოსოფია“. მისი აზრით, კულტურად უნდა ჩავთვალოთ არა ყველაფერი ის, რაც ადამიანს შეაქვს სამყაროში, „არამედ ის, რაც ადამიანს ადამიანური შეაქვს სამყაროში, ის, რასაც ადამიანური მოქმედების კვალი ატყვია“.

ო. ჯიოევი ოსი ხალხის გამორჩეული შვილი იყო და საქართველოში დატრიალებული ცნობილი მოვლენების დროს როგორც ქართველებისგან, ისე ოსებისგან ის დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. მან კარგად იცოდა თუ რა იყო საჭირო და გასაკეთებელი ქართველი და ოსი ხალხის ჯანსაღი ურთიერთობისა და უკეთესი მერმისისთვის. სამწუხაროდ, მას ვერ გაუგეს და სათანადოდ ვერ დააფასეს ვერც ქართველების და ვერც ოსების ერთმა ნაწილმა.

კულტურის ცნების ზოგადი განხილვის შემდეგ, ო. ჯიოევი ცალკეული ადამიანის კულტურის საკითხებს იხილავს. ცალკეული პიროვნების კულტურის შემადგენელი ნაწილებია – ცოდნა და უნარები. ადამიანმა თუ ბევრი იცის და მრავალმხრივი უნარები გააჩნია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის კულტურული ადამიანია. ამ საკითხზე მისი საბოლოო დასკვნა ასეთია: „ადამიანის კულტურას ის კი არ განსაზღვრავს, თუ რა იცის და რა შეუძლია მას, არამედ უმთავრესად ის, თუ რას აფასებს ის, რას სცემს პატივს და როგორ გამოიხატება ეს მის მოქმედებაში“.

ო. ჯიოევი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, თუ ხშირად რატომ არიან ადამიანები მტრულად განწყობილი ფილოსოფიისადმი. საქმე ის არის, რომ ფილოსოფიის მთავარი ამოცანაა ადამიანის ცხოვრების საზრისის გარკვევა; იგი ადამიანებს ისეთ ორიენტირებს უსახავს, რაც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის სრულიად ზედმეტი ტვირთია. მათთვის სრულიად საკმარისია საზოგადოებაში გამეფებული, ერთგვარად „აპრობირებული“ ცხოვრების წესები. ამ პრინციპებით მოქმედ და მცხოვრებ ადამიანთათვის ფილოსოფიის მიერ შემოთავაზებული იდეალები მიუღებელია, რადგანაც ისინი მყუდროებას ურღვევენ მას. ამიტომაც არიან ისინი ფილოსოფიის მიმართ მტრულად განწყობილი“.

საინტერესოა ო. ჯიოევის აზრი ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის ადგილზე ამა თუ იმ ერის სულიერ ცხოვრებაში. მისი აღნიშვნით, „ყოველი ერის კულტურა ყველაზე თვალნათლივ მის ხელოვნებაში, მის ლიტერატურაში ვლინდება“.

ო. ჯიოევის კვლევებში საინტერესოა მისი თვალსაზრისი ჰუმანიზმზე. იგი განიხილავს ჰაიდეგერისა და სარტრის კრიტიკულ დამოკიდებულებას ჰუმანიზმის ტრადიციული გაგებისადმი. აქედან ცხადი ხდება, რომ ტრადიციული ჰუმანიზმისადმი ევროპული ფილოსოფიის დამოკიდებულება კრიტიკულია. ქართულ ფილოსოფიაში ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია ო. ჯიოევმა. სამწუხაროდ, ეს პოზიცია ქართულ ფილოსოფიაში აქამდე რეაგირების გარეშე დარჩა, მით უმეტეს, რომ ჩვენში ამ საკითხის მკვლევრები დიამეტრულად საპირისპირო აზრის არიან.

ყურადღებას იმსახურებს ო. ჯიოევის მცირე მოცულობის ნაშრომი „კიტა მეგრელიძე“ (1987), სადაც ავტორს სრულიად თავისებურად და ორიგინალურად მიაჩნია კ. მეგრელიძის შემოქმედება. კ. მეგრელიძე, მისი აღნიშვნით, ემყარებოდა წარსულისა და თანამედროვე ფილოსოფიური კონცეფციების ანალიზს, „მაგრამ ქართულ ფილოსოფიაში ახალ ტრადიციასაც მისცა დასაბამი“.

კ. მეგრელიძის ამ „ახალ ტრადიციაში“ ო. ჯიოევი ორ მთავარ პუნქტს გამოყოფს: 1. მან კარგად გააცნობიერა ფილოსოფიის შინაგანი კავშირი მეცნიერების განვითარების ტენდენციებთან და 2. თუკი მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიის სხვა წარმომადგენლების ძირითადი ინტერესი მიმართული იყო ლოგიკის, გნოსეოლოგიისა და დიალექტიკის პრობლემებისადმი, კ. მეგრელიძემ მთავარი ყურადღება სოციალურ საკითხებზე გადაიტანა.

სამწუხაროდ, შენიშნავს ო. ჯიოევი, „...ქართული ფილოსოფიური ტრადიციების ანალიზი და შეფასება დიდხანს კ. მეგრელიძის მემკვიდრეობის გაუთვალისწინებლად ხდებოდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ამ მემკვიდრეობამ ჩვენამდე მოაღწია და აშკარა გახდა მისი მეცნიერული ღირებულება, ჩვენი საუკუნის ქართული ფილოსოფიის დახასიათება აღარ შეიძლება ისე, თუ ჯეროვნად არ გავითვალისწინეთ კ. მეგრელიძის ღვაწლი და ტრადიციები, რომელთაც მან მისცა დასაბამი“.

ო. ჯიოევი საფუძვლიანად იცნობდა, აგრეთვე, დასავლეთის ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ თეორიებს, კრიტიკულად აფასებდა და იყენებდა კიდეც.

ო. ჯიოევი ოსი ხალხის გამორჩეული შვილი იყო და საქართველოში დატრიალებული ცნობილი მოვლენების დროს როგორც ქართველებისგან, ისე ოსებისგან ის დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. მან კარგად იცოდა, თუ რა იყო საჭირო და გასაკეთებელი ქართველი და ოსი ხალხის ჯანსაღი ურთიერთობისა და უკეთესი მერმისისთვის. სამწუხაროდ, მას ვერ გაუგეს და სათანადოდ ვერ დააფასეს ვერც ქართველების და ვერც ოსების ერთმა ნაწილმა.

ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ო. ჯიოევის მოწაფესა და მისი საქმეების გამგრძელებელს, ფილოსოფიის დოქტორს **თეიმურაზ მთიბელაშვილს**: გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ო. ჯიოევი თავის გვარს ოსური ფორმით – ჯიოთი (და არა ჯიოევი) წერდა: „...სრულიად ნათელია, რომ მისი ეს, თუნდაც მართლაც მხოლოდ წმინდა სიმბოლური ხასიათის ქმედება, კარგად მეტყველებდა მის ფაქიზ და მსოფლმხედველობრივად ჯანსაღ დამოკიდებულებაზე საკუთარ ისტორიულ ფესვებთან, თავისი მშობელი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობასთან და ამ ხალხის თვითმყოფადობისა და თავისთავადობის შენარჩუნების გზებსა და საშუალებებთან“. ამასთან, „როგორც მოაზროვნე ფილოსოფოსი, ის იყო ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი; იგი თავის პროფესიულ საქმიანობაში ძირითადად ქართულ ენას იყენებდა. ის აზროვნებდა და წერდა ყოველმხრივ გამართულ, უნაკლო ქართულ ენაზე. სრულყოფილად ფლობდა და ოსტატურად იყენებდა ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის (განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურის) საუკეთესო ნიმუშებს“.

ო. ჯიოევის უმცროსი კოლეგა, პროფესორი გიორგი ნოდია აღნიშნავს, რომ ოსებისა და ქართველების დაპირისპირების დროს „იგი შეეცადა, თავისი საკმაოდ მტკიცე, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული პოზიცია დაეცვა, რომელიც კრიტიკულად იყო განწყობილი როგორც ოსური, ისე ქართული ულტრანაციონალიზმის წინააღმდეგ“, მაშინ ეს „სამოქალაქო სიმამაცეს მოითხოვდა“.

ო. ჯიოევი კარგ მეცნიერთან ერთად მეცნიერების კარგი ორგანიზატორიც იყო. ის ფილოსოფიის ინსტიტუტში თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ წამყვან განყოფილებას. ამასთან, ბატონმა ოთარმა არაერთი ქართველი მეცნიერი აღზარდა, რომლებიც დღესაც მაღალ დონეზე აგრძელებენ ფილოსოფიურ კვლევებს.

გურამ თევზაძე
აკადემიკოსი,

მიხეილ მახარაძე
პროფესორი.

* **ბატონი ოთარი ბოლო წლებში თავის გვარს წერდა ოსური ფორმით – ჯიოთი. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი მკითხველი მას იცნობდა ჯიოევის გვარით, ამიტომაც გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წერილში ეს ფორმა გამოვიყენეთ.**

ჩვენს ძვირფას მეგობარს გუგა ჭოხონელიძეს

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის პირველკურსელები, 1945 წლიდან ძვირფას მეგობარსა და კოლეგას, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს დამსახურებულ მშენებელს, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრის გამგეს, ღირსების ორდენის კავალერს, ბატონ გუგა ჭოხონელიძეს ვულოცავთ დაბადების 90 წლის იუბილეს.

ვამაყობთ შენით იმისათვის, რასაც ახლა აკეთებ და რაც გააკეთე შენი ერისათვის.

გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას შენ და შენს დიდ ოჯახს.

ადიკო გვალია, ლამარა მასხარაშვილი, ნოდარ მეძმარიაშვილი, იამზე ფანცხავა, ნოდარ ჩიგალაშვილი.

სასკოლო-საატესტატო გამოცდები შეცვლილი ფორმატით ჩატარდება



სასკოლო-საატესტატო გამოცდები შეცვლილი ფორმატით ჩატარდება. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, ტესტირების დასრულებისას მოსწავლე ეკრანზე დაინახავს არა ქულას, არამედ შეტყობინებას იმის შესახებ, გადალახა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ანუ მიიღო მინიმალურ 5.5 ქულაზე მეტი თუ ნაკლები. მისი თქმით, მნიშვნელოვანია მოსწავლემ გაიგოს, გადალახა თუ არა ბარიერი და არ აქვს მნიშვნელობა კონკრეტულ ქულას. ცვლილებები შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

როგორ აპირებს

პაატარა საქართველო დიდი მტრის აგრესიასთან გამკლავებას?

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება ნატოს შეკავების განახლებული პოლიტიკის შესაბამისად და ნატოს სტანდარტების მიხედვით შემდგომი განვითარება იმისათვის, რომ ქვეყანა აუცილებლად გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ამ ორი უმთავრესი ამოცანის შესახებ მინისტრმა ლევან იზორიამ 13 თებერვალს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში გამოსვლისას ილაპარაკა. ითქვა, რომ მტრის აგრესიის შეკავების ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების, დახმარება. „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილია საბრძოლო მომზადების ცენტრის ამოქმედება და ქართველი სამხედროების წვრთნა და აღჭურვა ნატოს სტანდარტების შესაბამისად. ტყვიამფრქვევები და ავტომატური იარაღი უკვე მიეწოდა საქართველოს. პარალელურად, გრძელდება ჯაველინის (Javelin) სისტემის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებისა და საჰაერო თავდაცვის სისტემის ელემენტების შესყიდვაზე ზრუნვა. შეძლებს თუ ვერა საქართველო გაუმკლავდეს მტრის აგრესიას?

საქართველო სათანადოდ აფასებს ნატოსთან თანამშრომლობას არსებითი პაკეტის შესრულების პროცესში, კვლავაც აქტიურად აპირებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს კვლავაც განიხილავს უსაფრთხოების დაცვის ერთადერთ ეფექტიან გარანტად — ეს აქცენტები არაერთხელ დაისვა თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას გამოსვლაში 13 თებერვალს, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას. ხაზგასმით ითქვა ისიც, რომ სწორედ ნატოს სტრატეგიას შეესაბამება საქართველოს მეორე უმთავრესი ამოცანა, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას უკავშირდება. ამ ჭრილში საგანგებო როლს თამაშობს თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში შემუშავებული პროგრამა — „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა“. ამერიკელი პარტნიორების დახმარებით, 2018 წლის მაისში დასრულდება საბრძოლო მომზადების ცენტრის მშენებლობა და ქართველი ჯარისკაცები, წვრთნასთან ერთად, ნატოს სტანდარტებით აღიჭურვებიან.

„მაისიდან ცხრა ქვეით ბატალიონს ექნება შესაძლებლობა სამთვიანი მომზადების კურსები მთელი სამი წლის განმავლობაში გაიარონ ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორებთან ერთად. თუკი ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად უწინ წვრთნებითა და სწავლებებით, განსაკუთრებით საერთაშორისო მისიების ფარგლებში, ამოცანების განსახორციელებლად ვემზადებოდით, ისტორიულია წელს ის ფაქტი, რომ ეს სწავლებები დაკავშირებული იქნება უკვე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული თავდაცვის ამოცანებიდან მისიების შესრულებასთან. ამ პროგრამის ფარგლებში ცხრა სამანევრო ბატალიონი მიიღებს ნატოს შესაბამის აღჭურვილობას“, — განაცხადა **ლევან იზორიამ**.

თავდაცვის მინისტრის თქმით, „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის“ ფარგლებში, 2017-2018 წლების გეგმით, ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოყოფილი აქვს, დაახლოებით, 117 მილიონი დოლარი. აქედან 37 მილიონი დოლარი მცირე შეიარაღებას, ხოლო 25 მილიონი დოლარი კავშირგაბმულობის უსაფრთხო სისტემის შექმნა-ამოქმედებას მოხმარდება.

„გასულ წელს მივიღეთ ასეულობით ტყვიამფრქვევი, მივიღეთ ათასობით ავტომატი უკვე წელს. სხვა დეტალებზე ვერ მოგახსენებთ, რადგანაც ეს გარკვეულწილად საიდუმლოების შემცველი ინფორმაციებია. ეს პროცესი კვლავაც გრძელდება“, — აღნიშნა ლევან იზორიამ.

თავდაცვის მინისტრის თქმით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს თანამშრომლობა „თვისებრივად ახალ ეტაპზე“ გადავიდა და ამის მკაფიო მაგალითია საქართველოსთვის ჯაველინის (Javelin) სისტემის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების მიყიდვის ფაქტი. ლევან იზორიას თქმით, 2018 წელს საქართველომ აშშ-ისგან უკვე შეიძინა გეგმით გათვალისწინებული მოცულობის ნახევარზე მეტი და ახლო მომავალში კვლავაც გაგრძელდება ამერიკის შეერთებული შტატებისგან ჯაველინის (Javelin) სისტემის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების შესყიდვის პროცესი.

„ჩვენ ათი წლის განმავლობაში ვითხოვდით „ჯაველინების“ შეძენას. არ მინდა საჯაროდ ვთქვა, მაგრამ არსებობდა გარკვეული გარემოებები, რის გამოც ყოველ ჯერზე, როდესაც ეს საკითხი იყო დაყენებული, უარი ითქვა“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ჩვენ თუ ვყიდულობთ იარაღს, თუ ვამზადებთ სამხედროებს, თუ გვაქვს ისეთი ტექნიკა, რომელიც ძალიან დიდ ზიანს მიაყენებს აგრესორს, ის უნდა დაფიქრდეს — ღირს კი ასეთი აგრესიის განხორციელება? თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება ემსახურება ერთდერთ მიზანს — ქვეყნის ჯეროვან დაცვას!

თუკი აგრესორი საქართველოზე თავდასხმას გადაწყვეტს, ქვეყანა, ცხადია, ძირითადად საერთაშორისო პარტნიორების პოლიტიკური მხარდაჭერის იმედად რჩება, თუმცა, ვიდრე ეს მხარდაჭერა სათანადო შედეგს მოიტანს, ლევან იზორიას თქმით, ომის შემთხვევაში მყისიერად ამოქმედდება ეროვნული თავდაცვის გეგმა — 2017 წლის მიწურულს შემუშავებული 4-ტომიანი საიდუმლო დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორც მთელი სტრუქტურის, ისე თითოეული დანაყოფის სამოქმედო გეგმა:

„მიზანი არის ის, რომ რაც შეიძლება მეტად შეაყოვნო თავდამსხმელი, მიაყენო ჭარბი ზიანი და შეაჩერო აგრესია“.

თუმცა, ლევან იზორიას თქმით, შესაძლებელია საქართველოს შეიარაღებული ძალების ისე გაძლიერება, რომ აგრესორს თავდასხმის სურვილი აღარ გაუჩნდეს: **თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, 2018 წლის ბიუჯეტით საქართველო სრულად აკმაყოფილებს ნატოს მოთხოვნას, რომ წევრი თუ პარტნიორი ქვეყნების მშპ-ის 2 პროცენტი მიმართული იყოს თავდაცვის ბიუჯეტზე, საიდანაც 20 პროცენტი შეიარაღებას მოხმარდება. ლევან იზორიას თქმით, აქ იგულისხმება როგორც ჯაველინის (Javelin) სისტემის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების შეძენა აშშ-ისგან, ასევე ანტისაჰაერო სისტემის ელემენტების შეძენა, საფრანგეთის პროექტის ფარგლებში.**

რაღაც ძირითადი საშუალებები და შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს ქვეყანას იმისათვის, რომ შეძლოს მოწინააღმდეგის საჰაერო შემოტევის დროულად აღმოჩენა და შემდეგ მისი საჰაერო ობიექტების შეძლებისდაგვარად გაუვნებელყოფა. ქვეყანას ასევე უნდა შეეძლოს ეფექტიანად მოქმედება სახმელეთო და საზღვაო შემოტევების შემთხვევაში, თავდაცვის აუცილებელი საშუალებების გამოყენებით...

„ჩვენ შევიმუშავეთ ძირითადი თავდაცვის სისტემების შესყიდვების სტრატეგია 2018-2023 წლებისთვის, რომელსაც ჯერ პროექტის სახე აქვს, მაგრამ წელს დამტკიცდება... ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია ასევე ავიაციის განვითარება. ჩვენ ამ მიზნით 23 მილიონი გამოვყავით და ასევე ამერიკული მხარე გვპირდება დამატებით დახმარებას იმისთვის, რომ მოხდეს ჩვენი ავიაციის მოდერნიზება და განახლება“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტში 13 თებერვალს გამართულ სხდომას სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი **ირაკლი ალადაშვილიც** ესწრებოდა. როგორც მან უთხრა რადიო „თავისუფლებას“, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის“ ფარგლებში აშშ საქართველოს დაეხმარება სწორედ თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების კუთხით, რაც უპასუხებს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს — აგრესიული მეზობლის, რუსეთის, ფაქტორის გათვალისწინებით. ანალიტიკოსი თვლის, რომ ომის შემთხვევაში საქართველოს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს დროის მოგება იქამდე, ვიდრე მას საერთაშორისო პარტნიორები პოლიტიკურ დახმარებას აღმოუჩენენ: **„რაღაც ძირითადი საშუალებები და შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს ქვეყანას იმისათვის, რომ შეძლოს მოწინააღმდეგის საჰაერო შემოტევის დროულად აღმოჩენა და შემდეგ მისი საჰაერო ობიექტების შეძლებისდაგვარად გაუვნებელყოფა. ქვეყანას ასევე უნდა შეეძლოს ეფექტიანად მოქმედება სახმელეთო და საზღვაო შემოტევების შემთხვევაში, თავდაცვის აუცილებელი საშუალებების გამოყენებით. ასპროცენტიანი მომზადება შეუძლებელია მაშინ, როცა მტერიც შეიძლება ამასობაში გაძლიერდეს. მაშინ მთელი ქვეყანა ავტომატებით უნდა იდგეს და ამ შემთხვევაში ეკონომიკა არ განვითარდება“.**

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების პროცესში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს აშშ-ისგან ჯაველინის (Javelin) სისტემის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების შეძენა, — ეუბნება რადიო „თავისუფლებას“ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში სამოქალაქო საბჭოს წარმომადგენელი ირაკლი მჭედლიშვილი, რომელიც ასევე ესწრებოდა 13 თებერვალს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტში გამართულ სხდომას: **„ქართული მხარისთვის „ჯაველინების“ მიყიდვა აშშ-ის მხრიდან დიდი ნდობის გამოხატულებას წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ მაღალტექნოლოგიური იარაღი შემთხვევით ხელში ვერ გადავა. მიმღებს არა მხოლოდ მისი მოხმარება უნდა შეეძლოს, არამედ ის უნდა იყოს ასევე მკაცრი კონტროლის ქვეშ, უნდა იყოს იმის გარანტია, რომ ეს იარაღი არ მოხვდება შემთხვევითი ადამიანების ხელში, მტრის ხელში და ასე შემდეგ. როგორც ჩანს, ამერიკულმა მხარემ ასეთი გარანტიები დაინახა, თუმცა ქართულ მხარეს ეს კმაყოფილებით მოდუნების უფლებას არ აძლევს“.**

ლეილა კუნჭულია

უკრაინიდან გამოძევებული კანონიერი ქურდი საქართველოში შემოუშვეს

კიევიდან გამოძევებული პაპუნა უგრეხელიძე, რომელსაც უკრაინული მედია კანონიერ ქურდად მოიხსენიებს, ქართველმა მესაზღვრეებმა უპრობლემოდ შემოუშვეს.

გიორგი გახარიას უწყებაში განმარტავენ, რომ უგრეხელიძე კრიმინალი არ არის და კიევიდან მხოლოდ საბუთებში არსებული უზუსტობების გამო გამოუშვეს.

უკრაინის უსაფრთხების სამსახურის ცნობით კი, ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი, კიევში ორი დღის წინ დააკავეს და იძულების წესით საქართველოში დააბრუნეს. უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში წერია, რომ ის ძალადობრივ დანაშაულსა და უკრაინაში ქარვის უკანონო მოპოვების საქმიანობაშია ეჭვმიტანილი. უკრაინული მედიის ინფორმაციით, პაპუნა უგრეხელიძე ბოლო 15 თვის განმავლობაში უკრაინიდან საქართველოში უკვე მესამედ გამოაძევეს.

სტრიქონები ალბერტ აინშტაინის წერილებიდან

დოვლათი, რომელიც ყველა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენაჩრუნებას ემსახურება, უმცირესი შრომით უნდა იქნეს მოპოვებული.

* * *

კარგი ექსპერიმენტი ხშირად უფრო ფასეულია, ვიდრე წვალებით მიღებული ოცი განყენებული ფორმულა. ნორჩი გონებისთვის ფიზიკის ფორმულები ისევე მშრალია, როგორც ისტორიის ქრონოლოგიური თარიღები.

* * *

სირცხვილი უნდა წვავდეს იმას, ვინც უბრალო რადიომიმღებში განსახიერებული მეცნიერების საოცრებით სარგებლობს და ამავე დროს, ისევე უმნიშვნელოდ აფასებს ამას, როგორც ძროხა ბოტანიკის იმ საოცრებას, რომელსაც ღეჭავს.

* * *

ევროპელ ინტელიგენტებს მადამ კიურის ხასიათის სიმტკიცის, საქმისადმი თავდადების თუნდაც მცირე ნაწილი რომ ჰქონოდათ — ევროპას უფრო ბრწყინვალე მომავალი ექნებოდა.

* * *

სძელკანიანი ვირიც ღმერთის შექმნილია.

* * *

გონება, ცხადია, სუსტია იმ უსასრულო ობიექტებთან შედარებით, რომელთა ახსნასაც ცდილობს.

* * *

კარგი ხასიათი და ძლიერი ნებისყოფა უფრო საჭიროა, ვიდრე ჭკუა და ერუდიცია.

* * *

არ ვფიქრობ, რომ ქვეყანაზე არსებობდეს უფრო დამამცირებელი ტანჯვა, ვიდრე ეჭვიანობაა, რომელიც ჩვენს სულს შემზარავი სურათებით ავსებს.

* * *

ადამიანური ფასეულობების ძირითადი საწყისი, საბოლოო ჯამში, ზნეობრიობას ემსახურება.

* * *

მეცნიერება აზრის მრავალსაუკუნოვანი დაუცხრომელი მუშაობაა, რათა სისტემის საშუალებით მოეყაროს თავი ჩვენი სამყაროს ყველა შემეცნებად მოვლენას.

* * *

ალბერტ შვაიცერის აფრიკაში გამგზავრება ერთგვარი ამბოხი იყო თანამედროვე ცივილიზაციის უმოწყალო კანონების წინააღმდეგ.

* * *

უსასრულო მხოლოდ ორი რამ არსებობს: სამყარო და სისულელე, თუმცა სამყაროს თაობაზე მთლად დარწმუნებული არა ვარ.

* * *

ჩვენი დაქსაქსული ებრაული საზოგადოების მდგომარეობა მსოფლიო პოლიტიკის ზნეობრივი ბარომეტრია. არ შეიძლება იყოს უფრო სამართლიანი ზნეობრივი ინდიკატორი, ვიდრე არის ხალხის დამოკიდებულება უმწეო უმცირესობის მიმართ, რომლის განმასხვავებელ ნიშანსაც წარმოადგენს უძველეს კულტურულ ტრადიციათა შენარჩუნება!

ამჟამად ბარომეტრი თითქმის ნულს უჩვენებს და ჩვენ მტკივნეულად განვიცდით იმას, თუ როგორ გვეპყრობიან, მაგრამ სწორედ ეს დაბალი მაჩვენებელი განმიმტკიცებს რწმენას, რომ ჩვენი ვალია ჩვენი თემის შენარჩუნება და კონსოლიდაცია. ებრაელი ხალხის ტრადიციებში დამკვიდრდა სიყვარული სამართლიანობისა და გონიერებისადმი და ეს თვისებები კვლავაც უნდა ემსახუროს ყველა ხალხის კეთილდღეობას ახლაც და მომავალშიც.

მე გეუბნებით თქვენ, ყველას, რომ ჩვენი ხალხის არსებობა და ბედისწერა ჩვენზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე გარე ფაქტორებზე, ჩვენი ვალია, რომ დავრჩეთ ტრადიციების ერთგულნი, რომელთაც გადაგვატანინებს წლები, მიუხედავად ჩვენს თავს დამტყდარი საშინელი ქარტეხილებისა. მსხვერპლი სიცოცხლის სახელით მოწყალება ხდება.

* * *

...**სწრაფვა** ცოდნისადმი თვით ცოდნის გულისთვის, თითქმის ფანატიკური სიყვარული სამართლიანობისადმი, წყურვილი პირადი დამოკიდებულებისა — ასეთია ებრაული ტრადიციების შტრიხები, რომლებიც მაიძულებენ ღმერთს ვუმადლოდე იმისთვის, რომ ებრაელობას მივეკუთვნები.

ცალკეული პიროვნების ცხოვრებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ესწრაფვის ყოველი სულიერის არსებობის გაკეთილშობილებასა და გამშვენიერებას. ცხოვრება წმინდაა, ესე იგი, ის არის უმაღლესი ღირებულება, რომელსაც ექვემდებარება ყველა სხვა ღირებულება. ინდივიდუალური უმაღლესი სწრაფვისადმი პატივისცემა თავისთავად გულისხმობს ყოველგვარი სულიერებისადმი პატივისცემას — ეს არის ებრაული ტრადიციებისათვის ძალზე დამახასიათებელი შტრიხი.

* * *

რკინისებრი აუცილებლობა და არა ფანტაზია ან სიახლის სურვილი გვაიძულებს ძველი კლასიკური შეხედულებების შეცვლას. სინამდვილის გაგების ჩვენი ცდა გვაიძულებდა, რომ განუწყვეტლივ გვეცვალა შეხედულებები. მხოლოდ მომავალი გადაწყვეტს, ავირჩიეთ თუ არა ჩვენ ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალი და მიგნებული იყო თუ არა ყველა სიძნელის საუკეთესო გადაწყვეტა.

* * *

კეპლერის მეცნიერული გმირობა შესაძლებელი გახდა მაშინ, როცა მოაზროვნე მემკვიდრეობით მიღებული ინტელექტუალური ტრადიციებისგან განთავისუფლდა. ლაპარაკია არა მარტო ეკლესიის ავტორიტეტით ნაკურთხ ტრადიციებზე, არამედ ყველაფერ იმაზე, რაც აზრისა და გამოცდილების მნიშვნელობას ზღუდავს სამყაროს შემეცნებასა და ადამიანის ცხოვრებაში.

* * *

გალილეო *გალილეის შესახებ*. ჩვენ წინაშეა არაჩვეულებრივი ნებისყოფის, აზრისა და ვაჟკაცობის ადამიანი, რომელსაც შესწევს ძალა წინ აღუდგეს ყველა იმათ, ეკლესიის მსახურთა უმეცრებასა თუ უნივერსიტეტის პროფესორთა უცოდინარობაზე დაყრდნობით რომ ცდილობენ თავიანთი მდგომარეობის შენარჩუნებას.

* * *

1922 წლის 11 ნოემბერს ლაიდენში აინშტაინმა თავისი დამოკიდებულების შესახებ ჩაწერა კამერლინგ-ონესის (დაბალი ტემპერატურათა ფიზიკის პიონერის) სამახსოვრო წიგნში. კამერლინგ-ონესმა ჯერ კიდევ 1913 წელს მიიღო ნობელის პრემია ფიზიკის დარგში.

„...უნდა ითქვას, რომ მეცნიერ-თეორეტიკოსის ადგილზე ყოფნა არასასურველია, ვინაიდან ექსპერიმენტი ულმობელი და სულაც არაკეთილგანწყობილი მსაჯულია. ის არცროდის არ ეუბნება თეორიას „კი“-ს. უკეთეს შემთხვევაში იტყვის „შესაძლებელიაო“. უმეტეს შემთხვევაში კი მხოლოდ „არა“-ს ამბობს. უკეთუ ცდა შეთანხმებულია თეორიასთან, ეს თეორიისთვის ნიშნავს „შესაძლებელია“-ს, ხოლო თუ შეუთანხმებელია, ეს ნიშნავს მხოლოდ „არა“-ს. ყველა თეორია ადრე თუ გვიან, ალბათ, გაიგონებს თავის „არა“-ს, თეორიის უმეტეს ნახევარს კი ეს პასუხი მაშინვე ესმის როგორც კი ვლინდება“.

* * *

1934 წლის 13 თებერვალი:

„...ჭეშმარიტების ძიებაზე რომ ვლაპარაკობ, იმის თქმა შემიძლია, თუ რა ძნელია თუნდაც ერთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა, რა პატარაც არ უნდა იყოს ის ნაბიჯი, ჭეშმარიტად მნიშვნელოვან საგანთა შესაცნობ გზაზე“.

(დასასრული იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №14-22, 25-33

ასე ამბობდა ალბერტ აინშტაინი



რუსული ტექსტი ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა



საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1803 წლის 1 თებერვალს

პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს მთავარსარდალად დანიშნული ინფანტერიის გენერალი პაველ ციციანოვი, რუსეთს გახიზნული ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ამალის წევრის შთამომავალი. იგი, ფაქტობრივად, სრულიად გადაჯიშებული იყო. საქართველოში ახლოსაც არ იკარებდა თანამოგვარე ნათესავებს. ყველაფერი გააკეთა, რათა რუსეთში რაც შეიძლება სწრაფად გაესახლებინა საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ქვრივი მარიამ ციციშვილი. ყოველნაირად ზღუდავდა ქართლ-კახეთის კათალიკოს-პატრიარქს ანტონ II-ეს, უხეშად ერეოდა საპატრიარქოს ფინანსურ საქმეებში. ქართული ეკლესიის მიმართ მის დამოკიდებულებაზე ისიც მეტყველებს, რომ საჯაროდ აცხადებდა: თქვენს ეკლესიებში გალობის ნაცვლად თხების კიკინი ისმისო, ქართული საეკლესიო გალობა რუსულით შეცვალეთო.

1828 წლის 10 თებერვალს,

1826-1828 წწ ომის შემდეგ, რუსეთსა და ირანს შორის დაიდო თურქმანჩაის ზავი. დამარცხებულმა ირანმა ცნო ერევნისა და ნახჭევანის სახანოების გადასვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. გამარჯვებულს დარჩა საქართველოს ისტორიული ჭარ-ბალაქნის (საინგილო) ტერიტორიაც.

1810 წლის 14 თებერვალს

რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრმა მიხაილ ბარკლაი დე ტოლიმ საქართველოს მთავარსარდალს ალექსანდრ ტორმასოვს მოსწერა: „საჭიროა ახალციხის საფაშოს მალე აღება, რათა მომავალში აღიკვეთოს საქართველოში ლეკთა, ოსმალთა და ირანელთა თარეში“. მაგრამ იმხანად ახალციხის აღება ვერ მოხერხდა. ის კი არა, რუსეთ-თურქეთის ბუქარესტის ზავით (1812 წ.) ფოთი კვლავ ოსმალეთს გადაეცა.

1918 წლის 21 თებერვალს

რსსფრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია“, რუსეთის საგანგებო კომისიას (ვჩკ) სასამართლოს გარეშე ადამიანთა დახვრეტების უფლება მიეცა.

ვალერი ვავილოვისა და ეფრემ ურუმაშვილის გარდა, ვის ეკუთვნის „ბიტფურის“ მილიონები?!

დიდი ციფრული გარიგება

– რატომ გადააბარეს ჩინელებს გლდანის ცენტრი?

მსოფლიო **კრიპტოვალუტების რეგულირებაზე ალაპარაკდა. გარდა ამისა, საუბრობენ იმ საფრთხის შესახებ, რომელიც ენერგომომხმარების ტოტალურმა ზრდამ წარმოშვა. საქართველოში კი ჯერჯერობით ყურს არავინ იბერტყავს და ციფრული სისტემების განვითარებაზე მსჯელობენ. იდება მსხვილი გარიგებებიც: „ბიტფური ჯგუფმა“ გლდანის „დატა ცენტრი“ ჩინურ კორპორაციას მიჰყიდა.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი კრისტინ ლაგარდი აღნიშნავს, რომ კრიპტოვალუტების ოპერაციების რეგულირება მსოფლიო დონეზე გარდაუვალია. მომავალში ყველა კრიპტოვალუტა საერთაშორისო რეგლამენტს დაექვემდებარება.

„რა თქმა უნდა, ეს არის ის სფერო, სადაც საერთაშორისო რეგულირება და სათანადო კონტროლი აუცილებელია. ფინანსური კრიზისის შემდეგ, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ჩვენ ორგანიზაციების რეგულირება განვახორციელეთ და ახლა უკვე ოპერაციების მიმართულებით რეგულირების დრო მოვიდა“, — განაცხადა ლაგარდმა.

იგი დაუფარავად ამბობს, რომ კრიპტოვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებს „ბნელი მხარეებიც“ აქვთ და დასძენს, რომ ვირტუალური ვალუტის ანონიმურობა მიმზიდველს ხდის მას კრიმინალური საქმიანობისთვის, მათ შორის, ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრებისთვის.

გარდა ამისა, ციფრული ვალუტები ძალიან დიდ პრობლემას ქმნის ენერგოუსაფრთხოების მხრივ. ამაზე უკვე ჩივიან სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობის წარმომადგენლები. მაგალითად, ისლანდიაში ბიტკოინების მოპოვების პროცესზე სულ უფრო მეტი ელექტროენერგია იხარჯება, რამაც ქვეყანას, შესაძლოა, ელექტროენერგიის დეფიციტი შეუქმნას.

ადგილობრივი ენერგეტიკული კომპანია „ჰიტავეიტა სუდურნესიას“ ბიზნესის განვითარების დირექტორი იოჰან სნორი სიგურბერგსონი ამბობს, რომ ენერგიის მოხმარება არითმეტიკული პროგრესიით იზრდება. ბიტკოინის მაინინგის ცენტრების მიერ ენერგიის მოხმარება წელს გაორმაგდება. ბოლო წლებში ისლანდიაში სულ უფრო მეტი კომპანია ხსნის ინფორმაციის გადამუშავების ცენტრებს.

წელს ამ ტიპის ორგანიზაციებს საკუთარი ზემძლავრი კომპიუტერებისა და მათი გამაგრილებელი სისტემებისთვის, 840 გიგავატსაათი ენერგია დასჭირდებათ. ამ დროს მთელი ქვეყანის მოსახლეობა 700 გიგავატს მოიხმარს.

ამასობაში, საერთაშორისო გამოძახილის ფონზე, საქართველოში ციფრული ვალუტის მიკროსამყაროში დიდი ცვლილება განხორციელდა. მსოფლიო გიგანტმა „ბიტფური ჯგუფმა“ თბილისში, გლდანში მდებარე „დატა ცენტრი“ გაყიდა. მისი ახალი მფლობელი აზიური Chong Sing Holding-ია.

„გარიგება აძლიერებს ჩვენს ურთიერთობას ჩინელ პარტნიორებთან და ეხმარება კომპანიას, გააგრძელოს წარმატებული გაფართოება აზიის ბაზარზე“, — განაცხადა „ბიტფურის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ვალერი ვავილოვმა.

კომპანიამ თბილისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში 40 მგვტ სიმძლავრის „დატა ცენტრი“ 2016 წელს გახსნა. მან დანერგა გაგრილების ინოვაციური ენერგოეფექტური სისტემა და საპროცესინგო „დატა ცენტრი“ ბოლო თაობის უახლესი ჩიპებით აღჭურვა.

Chong Sing Holding ფინანსური ტექნოლოგიების წამყვანი კომპანიაა, რომელიც მომხმარებელს მუდმივ რეჟიმში სთავაზობს ონლაინ ფინანსურ სერვისებს. ჰოლდინგის აქციები ჰონგკონგის საფონდო ბირჟაზეა განთავსებული. კომპანიის საქმიანობის სფეროებში შედის ბლოკჩეინ ტექნოლოგიებიც.

„გლდანში მდებარე „დატა ცენტრის“ გარიგების ფასი კონფიდენციალურია“, — განუცხადა „საქმის კურსს „ბიტფური ჯგუფის“ წარმომადგენელმა საქართველოში ეფრემ ურუმაშვილმა. მისი თქმით, პროცესით რამდენიმე მსხვილი კომპანია იყო დაინტერესებული, მათ შორის, კანადური, ამერიკული, ჩინური და ევროპული კომპანიები. **„ყველაზე კარგი თანხა ვინც შემოგვთავაზა, იმ კომპანიაზე გავაკეთეთ არჩევანი“,** — აღნიშნა ურუმაშვილმა.

მისი თქმით, „ბიტფური ჯგუფი“ ინვესტიციების განხორციელებას ინოვაციურ ტექნოლოგიებში გეგმავს, რაც თავისთავად ბლოკჩეინ ტექნოლოგიების განვითარებას ითვალისწინებს.

„აზიურ ჰოლდინგს ამბიციური გეგმები აქვს და საქართველოს საინვესტიციო გარემოს განვითარებაში დარწმუნებულია. ჩვენ გამჭვირვალობის მომხრე ვართ და ვფიქრობთ, რაც უფრო ღია იქნება აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები, მით მეტად განვითარდება როგორც ბაზარზე, ისე სახელმწიფო სერვისებში ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიც კრიპტოვალუტაა“, — აღნიშნა ურუმაშვილმა.

ბექა დანელია

შავი ზღვის ქართული აკვატორია და ნატოს ინტერესები

ნატოს **ყოველწლიურ მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებას „მებრძოლი სული“ (Agile Spirit) საქართველოში, შესაძლოა, საზღვაო კომპონენტიც დაემატოს. ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ განაცხადა.**

თავდაცვის მინისტრს არ დაუკონკრეტებია შავ ზღვის ქართულ აკვატორიაში, ნატოს სამხედრო-საზღვაო წვრთნა, მიმდინარე წელს დაგეგმილ სამხედრო სწავლებებს დაემატება თუ ეს მომავლის პროექტია. იზორიამ აღნიშნა, რომ ამ მნიშვნელოვანი ინიციატივის შესახებ, პენტაგონში ბოლო ოფიციალური ვიზიტის დროს ამერიკის შეერთებულ შტატების თავდაცვის მდივან ჯეიმს მატისთან უკვე ისაუბრა. Agile Spirit-ის საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებას 2011 წელს ჩაეყარა საფუძველი, 2014 წლამდე წვრთნები მხოლოდ ქართულ-ამერიკული იყო. 2015 წლიდან კი სწავლებამ საქართველოს აღმოსავლეთიდან, ვაზიანის პოლიგონიდან, დასავლეთში, ორფოლოს პოლიგონზე გადაინაცვლა და მრავალეროვნული გახდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც სწავლებაში ჩართული ქვეყნების გეოგრაფია, ისე ჯარისკაცთა და საბრძოლო ტექნიკის რაოდენობა და ხარისხი.

საქართველო შავი ზღვის აკვატორიის ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც სამხედრო საზღვაო ძალები არ ჰყავს. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის აგრესიის დროს, მას შემდეგ, რაც მტერმა ქვეყნის სამხედრო გემებისა და სამხედრო-საზღვაო ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი გაანადგურა, უმაღლესმა მთავარსალდლობამ იმის ნაცვლად, რომ ზღვაზე მარცხის მიზეზები დაედგინა და დამნაშავეები დაესაჯა, მთლიანად სამხედრო საზღვაო ძალების გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.

2009 წლიდან საქართველოს საზღვაო აკვატორიაში საზღვაო თავდაცვით, სასაზღვრო-პოლიციურ და ძებნა-გადარჩენით ოპერაციებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფი — სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვა ახორციელებს. ომის შემთხვევაში მასვე ეკისრება სამხედრო ფლოტის ფუნქციაც, ამ გარემოებათა გამო სამხედრო ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ შავი ზღვის აკვატორიაში ყველაზე ცუდად დაცული საზღვაო საზღვარი სწორედ საქართველოს აქვს.

ბოლო 11 წლის მანძილზე, საქართველოს სანაპირო დაცვა ნატოელი პარტნიორების, განსაკუთრებით აშშ-ისა და თურქეთის დახმარებით, შეიძლება, ითქვას, რომ ხელახლა დაიბადა. ვაშინგტონმა და ანკარამ რუსების მიერ ჩაძირული გემების სანაცვლოდ, რამდენიმე სადარაჯო ხომალდი საჩუქრად გადმოგვცეს, დანარჩენები კი უცხოეთში გაგვირემონტეს.

აშშ-ის დაფინანსებით, 2013 წელს, უკვე ფოთში გაიხსნა სანაპირო დაცვის გემების სარემონტო სახელოსნო, 200-ტონიანი ამწით; 2014 წელს სუფსაში საზღვაო ოპერაციების მართვის ულტრათანამედროვე ცენტრი და 2015 წელს, ბათუმში, სასაზღვრო პოლიციის მცურავი საშუალებების ბაზირების პუნქტის ახალი ნავმისადგომი, რომლის მშენებლობაც ამერიკელებს 14 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

აშშ და ნატო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოს სანაპირო დაცვის გაძლიერებას. ამ პოლიტიკის მნიშვნელობას, საქართველოში ბოლო ვიზიტისას ალიანსის გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლის მოადგილემ, ვიცე-ადმირალმა ერვი ბლეჟონმაც გაუსვა ხაზი: **„შავი ზღვის რეგიონი არის მზარდი ინტერესის მქონე ნატოსთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ აქ გვყავს ალიანსის სამი წევრი ქვეყანა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეგობარი და მეკავშირე საქართველოს სახით. ერთობლივი წვრთნები და ინფორმაციის გაცვლა ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ნატოსთვის, ისე საქართველოსთვის. ჩვენ ვგეგმავთ, რომ ნატომ შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობა კიდევ უფრო გააძლიეროს.“**

სამხედრო ექსპერტები ფიქრობენ, რომ Agile Spirit-ის წვრთნებზე საზღვაო კომპონენტის დამატებით, საქართველოს სანაპირო დაცვისა და სამხედრო-საზღვაო ინფრასტრუქტურის მეტად განვითარების საშუალება მიეცემა, რაც ნატოს ინტერესებშიც შედის, ვინაიდან, მონტრეს 1936 წლის კონვენცია (Montreux Convention Regarding the Regime of the Straits) არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ხომალდებს, შავი ზღვის აკვატორიაში 21 დღეზე მეტხანს ყოფნას უკრძალავს!

„Radio Voice of America“ **(აშშ)**

გერმანიის 5 ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი უფასო ხდება

ევროკომისარმა **გარემოს დაცვის მიმართულებით, კარმენიუ ველამ, გერმანიის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებს, ასევე კანცლერის აპარატს წერილი მისწერა და გაუარესებული ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნა სთხოვა.**

გერმანიის მთავრობის მოსაზრებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდა, საკუთარი ავტომობილის გამოყენებაზე, მეტ ადამიანს ათქმევინებს უარს, რაც ნახშირორჟანგისა და აზოტის გამოყოფას შეამცირებს.

საწყის ეტაპზე 5 ქალაქი შეირჩა: ბონი, ესენი, რეუტლინგი, მერჰეიმი და ჰერბერგი, რომელიც შტუტგარდის, გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაბინძურებული ქალაქის სიახლოვეს მდებარეობს. ეკოლოგიური პროგრამის ფარგლებში გერამნიას ასევე სურს ელექტროტაქსებისა და ზოგადად ელექტრომობილების წახალისების დონის გაზრდა. ამჟამად ახალი ელექტრომობილის შემძენს 4000 ევრო უნაზღაურდება.

მწიგნობართა ასოციაციის ხვავრიელი წელი

2017 წელი საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობისთვის (თავმჯდომარე ქალბატონი ლია ნადარეიშვილი) მეტად საინტერესო და უხვმოსავლიანი გამოდგა. წლის დასაწყისში ჟურნალისტთა მრავალი თაობის აღმზრდელის, ალმანახ „მწიგნობარის“ ყოფილი მთავარი რედაქტორის, პროფესორ ნოდარ ტაბიძის ხსოვნის საღამო გაიმართა. მაისში კი შოთა რუსთაველის დაბადების 850 წლისთავთან დაკავშირებით „ჩვენი მწერლობის“ მიერ გამოცემული პავლე ინგოროყვას „რუსთველოლოგიური თხზულებების“ ოთხტომეულის წარდგინება მოხერხდა. ლექცია-სემინარები მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 180 წლისთავსა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 200 წლისთავს. შესანიშნავ საღამოზე გაიხსენეს პოეტი-აკადემიკოსი გოგლა ლეონიძე, წლის მიწურულს კი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ინესა მერაბიშვილს უმასპინძლეს, რომელმაც ინგლისურ ენაზე გალაკტიონ ტაბიძის მისეულ თარგმანებზე და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ წიგნზე ისაუბრა.

ასოციაციას არც მინიატიურული წიგნების მოყვარულები გაუწბილებია და მათ შესანიშნავი საჩუქრებიც მოუმზადა, სერიიდან მინიატიურული წიგნები გამოვიდა — ლეო ქიაჩელის მოთხრობები და თამაზ ჭილაძის ლექსებისა და წერილების მინიატიურული გამოცემები. აღსანიშნავია ისიც, რომ შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავთან დაკავშირებით ასოციაციამ გამოსცა მინიატიურული „ვეფხისტყაოსანი“ მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. ეს გამოცემა წინა წლებში დასტამბული წიგნებისგან იმით გამოირჩევა, რომ იგი ყველაზე მცირე ზომისაა (7,5X7 სმ). გამოცემის ხელმძღვანელი გახლავთ შოთა კობიაშვილი.

დაბოლოს, მწიგნობართა ასოციაციის ყოველწლიურ ორგანოზე, ალმანახ „მწიგნობარზე“ ვისაუბროთ, რომელიც 1980 წლიდან გამოდის და წლეულს წიგნის მოყვარულებმა 2017 წლის ნომერიც მიიღეს.

2016 წლის 28 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში მიმდინარეობდა იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის მთავრობათაშორისი კომიტეტის სესია. სესიაზე **„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“** იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით წარმომადგენლობით ნუსხაში შევიდა. სწორედ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენაზე და ქართული დამწერლობის, როგორც საკაცობრიო მემკვიდრეობის შესახებ გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ავთანდილ არაბული**. ვრცელ წერილში აღწერილია ქართული ანბანის ისტორია, უძველესი წარწერების მიმოხილვა, რომლებიც ნაპოვნია არამარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ალმანახში წაიკითხავთ ლადო მინაშვილის, თამაზ ჭილაძის, გურამ ყორანაშვილისა და მაყვალა გონაშვილის წერილებს „ვეფხისტყაოსნის“, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და საქართველოს მწერალთა კავშირის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. ლილი ავალიანის წერილი „ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი“ და გოჩა კუჭუხიძის „100 წლის მზეჭაბუკი“ ეძღვნება პაოლო იაშვილსა და ლადო ასათიანს.

„მწიგნობრის“ რუბრიკა „ბეჭდური წიგნის ისტორია“ დიდი ხანია, შეიყვარა მკითხველმა, ამჯერად **ნინო ხვედელიძე** ელზევირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოცემაზე — პლინიუს სეკუნდუსის საბუნებისმეტყველო ნაშრომზე გვესაუბრება. ანტიკური სამყაროს უდიდესი მეცნიერი, რომაელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე გაიუს პლინიუს სეკუნდუსი ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში მოღვაწეობდა. მან შექმნა არაერთი ნაშრომი ისტორიის, სამხედრო ხელოვნების, რიტორიკისა და გრამატიკის თემაზე, მაგრამ მათ შორის ყველაზე აღსანიშნავია 37 ხელნაწერი წიგნის შემცველი **„ბუნების ისტორია“**, რომელიც ბეჭდური სახით პირველად ვენეციაში მე-15 საუკუნეში ძმებმა იოჰან და ვენდელინ ფონ შპაიერებმა გამოსცეს. „ბუნების ისტორია“ ანტიკური საბუნებისმეტყველო ცოდნათა ენციკლოპედიას წარმოადგენს. იგი ყოვლისმომცველ და საფუძვლიან ინფორმაციას გვაწვდის ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე. ეს ნაშრომი ქართველი მკითხველისათვის საინტერესო იქნება იმითაც, რომ ამ ნაწარმოების მეექვსე წიგნში მოცემულია ცნობები კოლხეთსა და იბერიაზე. სეკუნდუსი განსაკუთრებით ვრცლად საუბრობს კოლხეთის შესახებ.

ქეთევან შენგელია გვესაუბრება უშესანიშნავეს პიროვნებაზე, მხატვარზე, მწერალსა და დრამატურგზე, აწ გარდაცვლილ **ნინო ზაალიშვილზე**. ვრცლად მიმოიხილავს მის შემოქმედებას, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, იმოგზაუროს მხატვრის ზღაპრულ სამყაროში და დატკბეს მისი მრავალფეროვანი შემოქმედებით, რომელიც მრავლადაა დასტამბული ალმანახის ფურცლებზე.

აქვე გაეცნობით გურამ ბენაშვილის „პოეტის სილუეტს“, რომელიც ბატონ **ჯანსუღ ჩარკვიანის** შემოქმედებას ეხება და წიგნის ასოციაციის მიერ დაგეგმილ პოეტის მინიატიურული კრებულის წინასიტყვაობად დაიბეჭდა. წიგნის გამოცემას ბატონი ჯანსუღი ვერ მოესწრო, მაგრამ ქართველი მკითხველი კიდევ ერთხელ დატკბება მისი პოეზიით.

ალმანახში მრავლადაა წერილები უცხოელ შემოქმედებზე და სხვადასხვა ფილოლოგიურ კვლევებზე. იმედია, საქართველოს მწიგნობართა ასოციაციისთვის ახალი, 2018 წელიც მეტად ნაყოფიერი და შინაარსიანი იქნება.

მამუკა ვაშაკიძე

◎ ხუმარსიტყვა

თოვლის ბიზნესი

ახლახან მსოფლიომ ზეიმით აღნიშნა თოვლის საერთაშორისო დღე, რომელსაც საქართველო თოვლხვავრიელად შეეგება.

ქალაქის თოვლიან ქუჩაში ორნი მიაბიჯებენ.

— კარგია, რომ გნახე, — ამბობს ვალიკო, — მურთაზი ხომ არ იცი რას შვება?

— ამას წინათ, შემხვდა რუსთაველზე, საბაჟოში დაოთხილი გარბოდა.

— რა საქმეზე?

— ვერ გეტყვი, მაგას ხომ თოვლის ბიზნესი აქვს.

— გაგიჟდი, კაცო მთელი მსოფლიო ყინულში იხრჩობა და მაგის ნაცოდვილარი თოვლი ვის რაში სჭირდება?

— თურმე სჭირდებათ, აგე, ეგვიპტეში, სადაც წვიმაც კი სანატრელი აქვთ, თოვლს თურმე, ოქროს ფასი ადევს.

— ამ თოვლსა, ძმაო? ნახე მანქანების გამონაბოლქვისგან რა ჟანგისფერი დასდებია.

— რატომ ამას, მე როგორც ვიცი, ვალიკოს საიმპორტო თოვლი მესტიიდან ჩამოაქვს.

— რატომ იმ სიშორიდან, გუდაურის თოვლი აგერ არ არის, ორ ნაბიჯზე?

— არის, მაგრამ ეგ თოვლი საიმპორტოდ უვარგისია.

— რატომ?

— არაკონკურენტუნარიანია და იმიტომ, გუდაურიდან ჯერ ჟინვალშიც არ ჩამოუტანიათ და უკვე გამდნარია.

— სვანეთისა ვითომ არ დნება?

— არა. სვანები მას ევროპული ტექნოლოგიით ამუშავებენ, ამიტომ თოვლი ხრაშუნა და მაღალხარისხოვანია.

— ჰო, გამახსენდა, — თავი მოიქექა გოგლიკომ, — უშგულიდან თხილამურებით დაშვებულმა სააკაშვილმა ზღვაში ტყაპანი რომ მოადინა, მაშინ განაცხადა, სვანურ თოვლს მთელ დუნიაზე ბადალი არ მოეძებნებაო.

— ჰოდა, მაშინ მიშას ერთ სიტყვას ხო იცი რა ფასი ჰქონდა, ამიტომაც არის მთელი შავი კონტინენტი სვანეთის თოვლს რომ მიეძალა.

— კარგი ერთი, მაინც უხერხულად მეჩვენება, ძმაო, კარტოფილი და პამიდორი თურქეთიდან შემოზიდო და თოვლი საქართველოდან გაზიდო.

— ასეა და რა ვქნა, — თავი იმართლა ვალიკომ, — საქართველოში ყველაფერი იმპორტულია თოვლის გარდა.

— კი, მაგრამ თოვლის ბიზნესი თუ ასეთი სარფიანია, ივანიშვილს რატომ გამოეპარა?

— მაგას თოვლისთვის სად სცალია, ძმაო!

— მთელი დრო ხეების მოთხრა-გადარგვით არის დაკავებული, არა?

— არა, კოსმოსში ცქერით.

— კოსმოსში რას იცქირება?

— სარწმუნო წყაროდან შევიტყვე, მარსზე მიწების მთელი მასივი შეუძენია.

— მასეთი რა ხდებაო, მარსზე? — წამოეგო გოგლიკო.

— როგორ თუ რა ხდება, ნახევარზე მეტი უკვე გაიყიდა და შენ არაფერი გაგიგია?

— ასე თათარიახნად ვინ იყიდა?

— ვინ აღარ, ჩემო ძმაო. ამერიკიდან და ევროპიდან არც ერთი მილიარდერი არ დარჩა, რომ მარსზე მიწებს არ დაპატრონებოდა.

— აბა, გულს მოიოხებს ჩვენი ბიძო, აქ თითო ხეს დაეძებს და იქ, ალბათ, უსიერი ტყეები იქნება. იდგეს მთელი სიცოცხლე და გადარგოს და გადმორგოს ტყის მასივები.

— ტყეები კი არა, ხეები საერთოდ არ ყოფილა იმ შეჩვენებულ მარსზე.

— გავგიჟდები. აბა ხეები თუ არ არის, რა უნდა გადარგოს?

— გადარგავს, ძამიკო, გადარგავს. აქ რო დენდროპარკი გააშენა, იქიდან მაგნოლიებს მარსზე სულ სათითაოდ გადარგავს.

— მერე რომელი ზღვით ან ხმელეთით წაიღებს მაგ მაგნოლიებს?

— ბალისტიკური რაკეტებით, გოგლიკო, რაკეტებით! ნუ ჯავრობ, ამაზე პუტინთან წინასწარ შეთანხმებული ყოფილა.

— მერე მაგას რა მილიარდები ეყოფა?

— ეგეც ნაანგარიშები ჰქონია, იმ გაყიდული მაგნოლიებით იმდენ ტრილიონს დააგროვებს, რომ თურმე ნახევარ მარსს ეყოფა საყიდლად.

— კეთილი, მაგრამ მარსზე ხალხი თუ არ იქნა, მარტოკამ იქ რა უნდა აკეთოს?

— საქმის მეტი რა ექნება, შე კაცო. ადგება და თავის შუშის სასახლეს სულაც მარსზე გადაიტანს და მთავრობას იქიდან უხელმძღვანელებს.

— რომ არ გაწვალდეს, ხომ შეიძლება მთავრობაც თან წაიყვანოს?

— არა, მთავრობა აქ ბიუჯეტზეა მიძუძგურებული, იქ რომ წაიყვანოს, თავის ხარჯით გაუხდება გამოსაკვები. არხეინად იყავი, ჩემო გოგლიკო, ივანიშვილს ანგარიში არ შეეშლება!

— მარსზე თოვლი თუ მოდის?

— კი, კი, თანაც ისეთი მაღალხარისხოვანი, როგორიც სვანეთის მთებშია!

ოტია ჩართოლანი

„ვირი ვარ და ვყვირივარ!“

იუსტიციის მინისტრის ინფორმაციით, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაავალა, ტელეკომპანიების „იბერიისა“ და „ტვ პირველის“ ეთერით აღიაროს, რომ იუსტიციისადმი გაკეთებული მისი განცხადებები ცილისწამებაა.

„ბავშვობაში იყო ასეთი თამაში: „ვირი ვარ და ვყვირივარ“. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შალვა ნათელაშვილმა ჩემთან სასამართლო პროცესი წააგო. კერძოდ, მას დაევალა, რომ „იბერიისა“ და „ტვ პირველის“ ეთერით „დაიყვიროს“, რომ 2016 წელს ამ კომპანიების შესაბამის გადაცემებში გაკეთებული მისი განცხადებები იყო ცილისწამება (ბინა სტრასბურგში თავისი შემოსავლებით არ იყიდა, უყიდეს და ამით იყიდესო.)“ — წერს წულუკიანი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

◎ პიონჩანი 2018

სლალომი ისევ გადაიდო, ყვითელაშვილი დღეს იწყებს

სამთო-მოთხილამურე ქალთა სლალომში ზამთრის ოლიმპიადის მედლები გუშინ უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ საქმეში კვლავ ამინდი ჩაერია და სტარტი ორი დღით გადაიდო. რაც შეეხება გიგანტურ სლალომს, ლიდერთა ჯგუფის დაშვება დღეს ადგილობრივი დროით დილის 10 საათზე უნდა დაიწყოს და როგორც ორგანიზატორები ვარაუდობენ, ამჯერად შეჯიბრების გადატანის საჭიროება არ იქნება. ნინო წიკლაურს მეორე ჯგუფის წევრებს შორის 61-ე რიგითი ნომრით უწევს გამოსვლა.

ამასობაში მოახლოვდა ვაჟ მოციგურავეთა შეჯიბრება დღეს Gangneung Ice Arena-ში ოლიმპიური ჯილდოებისთვის ბრძოლაში ჩაებმება მსოფლიოს 30 უძლიერესი ფიგურისტი.. მათ შორის იქნება საქართველოს დელეგაციის მედროშე, 22 წლის **მორის ყვითელაშვილი**. მას კენჭისყრით სასტარტო ჯგუფი და მე-11 ნომერი ერგო. განთესილები სხვა ჯგუფში გამოვლენ. შეჯიბრების პირველ დღეს სპორტსმენები მოკლე პროგრამას წარადგენენ, ხვალ კი მაყურებელთა წინაშე თავისუფალი პროგრამით გამოვლენ.

მორისი პიონჩანში თამაშების გახსნის დღეს ჩაფრინდა იაპონიიდან, სადაც ერთკვირიანი შეკრება გაიარა: **„იაპონიაში ძალიან კარგ პირობებში ვემზადებოდი. იქ კორეის მსგავსი ჰავაა, რაც აკლიმატიზაციაში დამეხმარა. პიონჩანში ცალკე სავარჯიშო არენა გვაქვს გამოყოფილი, სადაც ყინულზე ყოველდღე 45 წუთს ვვარჯიშობ, თან, ფიზიკური კონდიციები რომ შევინარჩუნო, ოლიმპიურ სოფელში დავრბივარ კიდეც. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი გამოვსულვარ, მაგრამ აქ სულ სხვაგვარი ატმოსფერო, სხვა მასშტაბებია. ძალიან მინდა, რომ კარგად ვიასპარეზო და ჩემი ქართველი გულშემატკივრები გავახარო. სხვა უფლება არც მაქვს — მე ხომ პატივი მერგო, გახსნის ცერემონიალზე საქართველოს დროშით გავსულიყავი. ეს ამბავი განსაკუთრებით საამაყოა ჩემთვის. აქ ყველანი ყურადღებით მეპყრობიან — ქართველი ოლიმპიელები, ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელები და, რა თქმა უნდა, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი, ქალბატონი მაკა გიორგობიანი. საქართველოდანაც მეხმიანებიან და მაგულიანებენ. მოკლედ, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.“**

კობა კობახიძე

◎ ფარიკაობა

სოჭში ქართული ხმალიც გაიელვებს

ნიკა შენგელია

1-12 მარტს სოჭი კადეტ და 20-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. მედლებისთვის ბრძოლაში 12 ქართველი მუშკეტერიც ჩაებმება: კადეტებში — **ნინი ნიქაბაძე, თამარ ჩარკვიანი, ვახტანგ არჩვაძე, ლუკა ლომინაძე, გიორგი მერკვილაძე (ყველა-ხმალი);** ახალგაზრდებში — **ლიკა ჯიჯეიშვილი, მარიამ აფციაური, ანა აფრასიძე, ნიკა შენგელია, ვაჟა რეჭია, ნიკა ჭეიშვილი (ყველა-ხმალი) და** რაპირით **მოფარიკავე ლაშა გალუაშვილი. მათი ვინაობა ამ ასაკში საქართველოს პირველობის დამთავრების შემდეგ გახდა ცნობილი. შეჯიბრებას, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 140 წარმომადგენელი მონაწილეობდა, თერჯოლამ უმასპინძლა. საგულისხმოა, რომ კადეტ მოფარიკავეთა ერთი ნაწილი ახალგაზრდულ ჩემპიონატშიც მონაწილეობდა და რამდენიმე მათგანმა მედალიც კი დაიმსახურა. მაგალითად, ქუთაისელმა მარგალიტა გრიგალაშვილმა (დაშნა) კადეტებში ყველას აჯობა, ხოლო იუნიორებში თანაქალაქელ ანა ბიბიჩაძესთან წააგო გადამწყვეტი ორთაბრძოლა. თბილისელმა მოხმალავე ვახტანგ არჩვაძემ თანატოლებში ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო უფროს ასაკში მხოლოდ ნახევარფინალი დათმო და მესამე ადგილს დასჯერდა. ამავე სახეობაში ქუთაისელმა თამარ ჩარკვიანმა როგორც კადეტებში, ისე ახალგაზრდებში ვერცხლის მედალი დაიმსახურა, თბილისელმა რაპირისტმა თინა მაცკანმა კადეტებში პირველი და ახალგაზრდებში მესამე ადგილები დაიკავა, მისმა თანაგუნდელმა ლიზა ლხინაძემ კი ორ ბრინჯაოს გამოჰკრა ხელი. ქუთაისელ თორნიკე ჩხეტიანს (დაშნა) ახალგაზრდებში ვერცხლი და კადეტებში ბრინჯაო ერგო.**

სამდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

კადეტებში: ნინი ნიქაბაძე (თბილისი-ზესტაფონი) და ვახტანგ არჩვაძე (თბილისი, ორივე-ხმალი), თინა მაცკანი (თბილისი) და ირაკლი მიქელაძე (აჭარა, ორივე-რაპირა), მარგალიტა გრიგალაშვილი (ქუთაისი) და ალექსანდრე თვალავაძე (თბილისი, ორივე-დაშნა).

ახალგაზრდებში: ლიკა ჯიჯეიშვილი (თბილისი) და ნიკა შენგელია (თბილისი, ორივე-ხმალი), მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი) და ლაშა გალუაშვილი (თბილისი, ორივე-რაპირა), ანა ბიბიჩაძე (ქუთაისი) და გაგა ხიჯაკაძე (თბილისი, ორივე-დაშნა).

ლექსო ცინცაძე

◎ წყალბურთი

მადიარებთან — ევროპის თასისთვის

ბებერი კონტინენტის 14 ქვეყნის წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდები იბრძვიან ევროპის თასისთვის, რომელიც წლეულს პირველად იმართება. წილისყრით ქართველები A ჯგუფში მოხვდნენ უნგრელებთან, ესპანელებთან, ფრანგებსა და რუმინელებთან ერთად. პაექრობებს, რომლებიც 18 თებერვალს დასრულდება, ბუდაპეშტი მასპინძლობს. მადიარების ქვეყანას საქართველოს ნაკრები რევაზ ჩომახიძის ხელმძღვანელობით ასეთი შემადგენლობით ეწვია: ირაკლი რაზმაძე („დინამო“ თბილისი), ნიკოლოზ შუბლაძე („პრიმორაცი“, მონტენეგრო), ბექა ქავთარაძე („ლოკომოტივი“, თბილისი), ზურაბ ჩიკვაიძე („ლოკომოტივი“), მარკო ელაჩა („ორტიჯია“, იტალია), მიხეილ ბაღათურია („დინამო“), რევაზ იმნაიშვილი („სორი“, იტალია), დამირ ცრეპულია („პრიმორაცი“, მონტენეგრო), ზურაბ რურუა („დინამო“), გიორგი მესხი („შაბაცი“. სერბეთი), გიორგი მაგრაქველიძე („ნოვაკი“, სლოვაკეთი), კონსტანტინე გეგელაშვილი („ლოკომოტივი“), ანდრია ბითაძე („ვის ნოვა“, იტალია).

ჩვენებისთვის ეს შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატის პლეიოფისთვის მოსამზადებელი ეტაპი იქნება, რადგან ისინი კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე მესამედ მოსახვედრად 24 თებერვალსა (შინ) და 3 მარტს (სტუმრად) ისრაელის ეროვნულ გუნდს შეხვდებიან.

ლაშა დიდია

◎ ჩემპიონთა ლიგა

მწვრთნელის ფაქტორი

როგორც კი „რეალი“ — „პარი სენ ჟერმენის“ მატჩის წინ სტუმართა შემადგენლობა გაგვაცნეს, კომენტატორებმა მაშინვე გაუსვეს ხაზი ფრანგული კლუბის სათადარიგოთა სკამის ვარსკვლავურობას და დასძინეს — უნაი ემერს მეორე სრულფასოვანი შემადგენლობის დაყენებაც შეუძლიაო.

მართლაც, და მარიას, დრაქსლერის, პასტორეს, ტიაგო სილვასა და მუნიეს კალიბრის სოლისტებს საკუთარ ანსამბლში ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არც „სამეფო კლუბს“ ჰყოლია ნაკლები რეზერვი. მეტიც, სწორედ ერთ-ერთი დუბლიორის — მარკო ასენსიოს ბრძოლაში ჩაბმამ და მისმა ორმა შედეგიანმა გადაცემამ გადაწყვიტა ტოლ-სწორთა პირველი რაუნდის ბედი.

„რეალი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 3:1

(პირველი ტაიმი 1:1)

გოლები: რონალდუ (2), მარსელო; რაბიო.

როგორც მოსალოდნელი იყო, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაუვიწყარი სპექტაკლი დაიდგა, რომელშიც ზინედინ ზიდანმა პირწმინდად მოუგო ტაქტიკური დუელი ესპანელ კოლეგას.

შეხვედრის დასაწყისში, ალბათ, ბევრს გაუჩნდებოდა კითხვა — რატომ ამჯობინა „ზიზუმ“ ისკო ბეილის. მატჩის მსვლელობამ ამ კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა — ისკო მინდორზე პარტნიორთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ამ დროს კონტრასტულად გამოიყურებოდა სტუმართა თავკაცის მიერ შესვენების შემდეგ განხორციელებული ერთ-ერთი შეცვლა, როცა ადამიანი — გოლი კავანის ნაცვლად ნდობა ფლანგურ მცველ მუნიეს გამოუცხადეს.

თამაშის ხასიათზე არანაკლები გავლენა მოახდინა პარიზელთა ბავშვურმა ინდივიდუალურმა შეცდომებმა. ისინი ხშირად საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს ისე კარგავდნენ ბურთს, თითქოს ზურგს სოლიდური უპირატესობა უმაგრებდათ, ეს კი ჩემპიონთა ლიგის მოგების ამბიციით შეპყრობილ გუნდს, დაგვეთანხმებით, არ ეპატიება.

მოკლედ, აღნიშნულმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ესპანური გრანდი, ლა ლიგაში სეზონის სტარტზე კრიზისის მიუხედავად, უმთავრესი ევროტურნირის ფავორიტად რჩება.

„პორტუ“ — „ლივერპული“ 0:5.

გოლები: მანე (3), სალაჰი, ფირმინო.

გიორგი ზოთაძე

◎ საქმემან შენმან

მიეძღვნა საუკუნის თანატოლს

არიან მამულიშვილნი, რუდუნებით რომ აკეთებენ საქვეყნო საქმეს და შთამომავლობას მდიდარ სულიერ საზრდოს უტოვებენ.

რეჟისორ გოგი თორაძეს საზოგადოება ქართული სპორტის (და არა მარტო) თემაზე შექმნილი ფილმებით იცნობს, რომლებშიც ავტორის მთელი სული და გულია ჩაქსოვილი. ანახეთ მომავალ თაობას აღნიშნული ფოტოფირები და, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, აღარ შეგეშინდებათ შვილების გარეთ გაშვება.

ამჯერად არაერთი კინოფესტივალის ლაურეატი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენის საუკუნოვან იუბილეს გამოეხმაურა და ერთ-ერთი პირველი ქართველი ფეხბურთელის **შალვა ერისთავის** ხანმოკლე სიცოცხლისადმი მიძღვნილი სატელევიზიო ფილმის პრემიერაზე მიგვიწვია.

დოკუმენტური კადრებით გაჯერებული ისტორია სევდიანად მოგვითხრობს ჩვენს მარად ახალგაზრდა თანამემამულეზე, ქსნის ერისთავთა ღირსეულ მემკვიდრეზე, ლამაზი სიყვარულიც რომ მოასწრო, საფეხბურთო სარბიელზე წარმატებების მოპოვებაც და კოჯრის მისადგომებთან გმირის სიკვდილით დაეცა.

სწორედ ასეთ თვისტომთ უნდა ვუმადლოდეთ, ჯერაც რომ შემოგვრჩენია „სამშობლოს გრძნობა განსაკვირველი“, განსაკუთრებულ მადლიერებას კი ბატონი გოგის მოამაგენი იმსახურებენ, გვერდში რომ ამოუდგნენ ხელოვანს: ფეხბურთის ფედერაცია, სპორტის სამინისტრო და დიდი კაპიტანი — ალექსანდრე ჩივაძე.

სიმბოლურია, რომ სწორედ გადასაღებ მოედანზე დაიბადა მთავარი როლების შემსრულებელთა — ანდრია გველესიანისა და მაია ვაწაძის სიყვარული, რაც რამდენიმე თვის წინათ მსახიობთა დაოჯახებით დაგვირგვინდა.

სიცოცხლე გრძელდება!

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ერიჰა!

ჯერ თავი მოიწამლა, მერე ტყვია დაიხალოო...

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მომხდარი უამრავი ამბავი დღესდღეობითაც იდუმალებითაა მოცული, ამიტომაც მათთვის სიმართლის შუქის მოფენას, ჭეშმარიტების დადგენის მცდელობას მუდამ დიდი აჟიოტაჟი ახლავს ხოლმე.

70 წლის ფიურერი

ასე იყო, კერძოდ, 2006 წელს, როცა არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიოში ტირაჟით უდიდესმა გაზეთმა „არგუმენტი ი ფაქტი“-მ მიმომხილველ **გიორგი ზოტოვის** პუბლიკაცია „ჰიტლერი გარდაიცვალა... 1964 წელს“ გამოაქვეყნა.

სტატიის ავტორი სამხრეთ ამერიკაში ყოფნისას, არგენტინელ ისტორიკოსსა და მკვლევარს **აბელ ბასტის** შეხვდა და სწორედ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები გახდა სენსაციური სტატიის საფუძველი.

„მასპინძელმა ჩემ წინ მაგიდაზე ათობით საბუთი და ფოტოსურათი დააწყო, რომელთა რამდენადმე ზერელე, ნაუცბათევი თვალის გადავლებითაც მნახველი საკუთრივ დარწმუნდებოდა, რომ ადოლფ ჰიტლერმა, მეუღლესთან ევა ბრაუნთან ერთად, 1945 წლის 30 აპრილს, ანუ იმ დღეს, როცა მისი თვითმკვლელობის ამბავი გავრცელდა, შეძლეს ბერლინიდან გაქცევა.

— სენიორ ბასტი, თქვენ ამტკიცებთ, რომ 1945 წლის 30 აპრილს ჰიტლერმა ბერლინიდან გაქცევა თვითმფრინავით მოახერხა, როგორ შეძლო მან ამის გაკეთება?

— ჩემს წიგნში მომყავს დიდი ხნის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს არქივების გასაიდუმლოებული მასალები, რომელთა მიხედვით ცხადი ხდება, რომ 1945 წლის 30 აპრილს, 16:30 საათზე, ანუ ჰიტლერის სავარაუდო თვითმკვლელობიდან ერთი საათის შემდეგ, იგი თავისი პირადი თვითმფრინავის Ju-52-ის გვერდით ნახეს. მან ესპანეთში გაფრენა შეძლო, საიდანაც ზაფხულის მიწურულს წყალქვეშა ნავით არგენტინაში გადავიდა. მას ევა ბრაუნი, მიულერი და მარტინ ბორმანი ახლდნენ.

აუცილებლად ყურადღებაა მისაქცევი იმაზე, რომ ჰიტლერის თვითმკვლელობის თვითმხილველთა ჩვენებებში უაღრესად მნიშვნელოვანი წინააღმდეგობებია. თავდაპირველად ითქვა, რომ ჰიტლერმა თავი მოიწამლაო. მერე გადათქვეს, — არა, საფეთქელში ტყვია დაიხალაო. შემდეგ ვერსია კიდევ ერთხელ შეცვალეს — ჯერ თავი მოიწამლა, მერე ტყვია იკრაო. არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ კალიუმის ციანიდი უმალ სიკვდილს იწვევს და მისი დამლევი იარაღის ჩახმახის გამოკვრას როგორღა შეძლებდა?!“

არგენტინაში ჰიტლერისა და სამხრეთ ამერიკაში კი ათეული ათასობით ნაცისტის გაქცევის ამბავი ბერლინს, ვაშინგტონსა და ლონდონს შორის დადებული ფარული გარიგების შედეგია. ამის სანაცვლოდ, მოკავშირეებმა, ცხადია, საბჭოთა კავშირის გამოკლებით, გერმანიის უახლეს ტექნოლოგიებზე წვდომა და მისი ოქროს მარაგი მიიღეს. მაშინდელი კურსით, გერმანიის ოქროს მარაგი დაახლოებით 100 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

დალი ხუნდაძე

კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნად გამოცხადდება

კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები UNESCO მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნად გამოცხადდება.

დაცული ტერიტორიების სააგენტო ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან (WWF) ერთად მუშაობს, რომ საქართველოში UNESCO მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნად პირველად მაჭახელას, მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები, ასევე, კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები გამოცხადდეს. პროექტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობა, 2017 წლიდან ახორციელებენ. პროექტი გერმანიის გარემოს დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროსა და WWF-ის თანადაფინანსებით მიმდინარეობს.

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

◎ გაითვალისწინეთ!

ზამთარი და გული,

ანუ როგორ ავირიდოთ ინფარქტი

საყოველთაოდ ცნობილია, **რომ ჯანმრთელობისთვის ზამთარი ზაფხულზე ნაკლებად სასარგებლოა, მაგრამ ამ დროისთვის დამახასიათებელი გაციებების, გრიპების, ანგინებისა თუ ფილტვების ანთებათა გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ზამთარი მეტი ხიფათის შემცველია გულით სნეული ადამიანებისთვისაც.**



დიდი ხნის მანძილზე მედიკოსები ყურადღებას არ აქცევდნენ სეზონურობასა და გულ-სისხლძარღვთა შორის ურთიერთკავშირს, მაგრამ ბოლო წლებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგებით დადგინდა, რომ გულით დაავადებული ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობა ზამთარში უფრო ცუდია, თანაც ამ მიზეზით სიკვდილიანობის დონე უფრო მაღალია.

ამჟამად უკვე ცხადია, რომ **სიცივე ხელს უწყობს არტერიული წნევის მომატებას და ჰიპერტონულ კრიზებს, მიოკარდის ინფარქტებს, არითმიას (გულის რითმის დარღვევას) და ინსულტებს პროვოცირებს.** საქმე ისაა, რომ ცივ ამინდში სხეულის ნორმალური ტემპერატურის შესანარჩუნებლად გულს ინტენსიურად მუშაობა უწევს. ამასთან, ზედაპირული სისხლძარღვები, სითბოს ჭარბად დაკარგვისგან ორგანიზმის დასაცავად, ვიწროვდება, რაც წნევას კიდევ უფრო მეტად სწევს მაღლა და, შესაბამისად, გულზე დატვირთვაც იზრდება.

გარდა ამისა, არის კიდევ მთელი რიგი ყოფაქცევითი თავისებურებებისა, რომლებიც ცუდად მოქმედებენ გულსა და სისხლძარღვებზე, ესენია: **დაბალი ფიზიკური აქტივობა** (რადგან ზამთარში უფრო მეტ დროს შენობაში ვატარებთ) და **კვების სტრუქტურის შეცვლა** (ზამთარში კალიუმითა და მაგნიუმით მდიდარ ახალ ბოსტნეულს ნაკლებად ვიღებთ, უფრო დიდი ოდენობით ნატრიუმის შემცველ კონსერვირებულ საჭმელს მივირთმევთ), რაც ასევე ხელს უწყობს წნევის მომატებას. ცხიმიანი და კალორიული საკვების მოხმარება კი სისხლში ქოლესტერინისა და სხვა ლიპიდების დონის ამაღლებას იწვევს, რაც ასევე ხელს უწყობს სხეულის გათბობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს სისხლძარღვთა ათეროსკლეროზს, რაც მოძრაობის დეფიციტთან ერთობლივად წონის მომატებას იწვევს და ჯანმრთელ ხალხში გულის სისხლძარღვთა დაავადებების გაჩენის რისკს ზრდის.

მაშ, როგორ უნდა ავიცილოთ აღნიშნული საფრთხეები წლის ცივ დროს? პირველ ყოვლისა, **საჭირო სამკურნალო პრეპარატების დანიშნულებისამებრ მიღება და ცხოვრების ჯანმრთელი წესის მოყოლა.** გარდა ამისა, ხშირად **იზომეთ არტერიული წნევა:** თუკი იმატებს, მაშინ საჭიროა დოზირების მომატება, ანდა დამატებითი წამლების მიღება.

ნურც სისხლძარღვებში თრომბების წარმოშობის საწინააღმდეგო პრეპარატების მუდმივად მიღება დაგავიწყდებათ, რომლებიც ინფარქტებისა და ინსულტების წარმოშობის მთავარი და უშუალო მიზეზი არის.

დიდად მნიშვნელოვანია **სწორად კვება** და **მარილის ოდენობის მკაცრად დოზირება,** რომელიც დღეში 3 გრამს არ უნდა აღემატებოდეს, თუმცა კი გაცილებით უკეთესი იქნება, თუკი უფრო ნაკლებს მიირთმევთ.

გარდა ამისა, **რაც შეიძლება მეტი ისეირნეთ.** ავადმყოფობის გამძაფრების შემთხვევაში (ჰიპერტონიული კრიზი, სტენოკარდია, არითმია და ა.შ.) **ხელთ აუცილებლად უნდა იქონიოთ პირველი საჭიროების წამლები,** რომელთა უფრო სწრაფად ასამოქმედებლად ისინი კი არ უნდა გადაყლაპოთ, არამედ ენის ქვეშ დაიდოთ. სტენოკარდიის შეტევის დროს საამისოდ ხმარობენ **ნიტროგლიცერინს,** წნევის მომატებისას — **კაპტოპრილს**.

რაც შეეხება ჯანმრთელ ადამიანებს, საკუთარი თავისადმი ყურადღება მათაც მართებთ. ჰიპერტონიული დაავადება ხშირად თავს იჩენს სწორედ ზამთარში, ხოლო თუკი თავის ტკივილები გაგიხშირდათ, თვალწინ „თეთრი ქინქლა ირევა“, ანდა „თავში ბურუსი გაგიჩნდათ“, მაშინვე არტერიული წნევა გაიზომეთ. ამ მხრივ **განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იყვნენ ჭარბი წონის ადამიანები, ან ვისაც სისხლში შაქრის დონე აქვთ აწეული, ქალები კლიმაქსის დროს, ანდა ისინი, ვისაც მძიმე მემკვიდრეობა აქვთ** (თუკი ჰიპერტონიით დაავადებული უახლესი ნათესავები იყვნენ).

ყველაფერ ზემოაღნიშნულთან ერთად **გახსოვდეთ, რომ ინფარქტები და ინსულტები უფრო ხშირად ადრე დილით ხდება ხოლმე.** ამ დროს მატულობს არტერიული წნევა, ორგანიზმში ასევე სხვა ძვრებიც ხდება. ამიტომ, **ეცადეთ, დღე დინჯად დაიწყოთ** — გაღვიძებისთანავე ნუ დაიწყებთ ფიზიკურ ვარჯიშს, ან, უბრალოდ, მუშაობას. გახსოვდეთ, **გულის სისხლძარღვთა სისტემა დატვირთვას თანდათანობით უნდა შეეჩვიოს,** ზამთარში კი ამის გაკეთება უჭირს.

დილის ვარჯიშის დროს მოერიდეთ დიდ დატვირთვებს, ასევე მოიქეცით ფიზიკურად მუშაობისას. ვიდრე თავს ფიზიკურად დაიტვირთავდეთ, უარი თქვით ყავაზე და სიგარეტზეც, თუკი მწეველი ხართ, რადგან ორივე ზრდის გულზე დატვირთვას და არ არის რეკომენდებული.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

მოიწამლა 10 ადამიანი, მათ შორის მცირეწლოვნები

თბილისში, ბუაჩიძის ქუჩაზე საცხოვრებელ კორპუსში ხანძარი გაჩნდა. ძლიერი დაკვამლიანების შედეგად 10 ადამიანი მოიწამლა, რომლებიც სტაციონარში გადაიყვანეს, მათ შორის 5 ბავშვია. მაშველებმა კორპუსიდან 20 ადამიანის ევაკუაცია განახორციელეს. სანზონის მაჟორიტარი დეპუტატის ალექსანდრე ხუჯაძის გადაწყვეტილებით, ერთი ოჯახი, რომლის სახოვრებელი სახლიც დაიწვა, სასტუმროში განთავსდა.

ტრაგედია დუშეთში

დუშეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გარდაცვლილი იპოვეს — მათ სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩათ.

გავრცელებული ინფორმაციით, სავარაუდოდ, ეჭვიანობის ნიადაგზე, ქმარმა ცოლი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სსკ-ის 108-ე (მკვლელობა) და 115-ე (თვითმკვლელობამდე მიყვანა) მუხლებით მიმდინარეობს.

„თალიბანი“ ამერიკელ ხალხს მიმართავს

რადიკალური მოძრაობა „თალიბანი“ ამერიკელ ხალხს ღია წერილით მიმართავს და მოუწოდებს, იზრუნონ ავღანეთში კონფლიქტის დასრულებასა და გამოუცდელი მმართველის დონალდ ტრამპის პოლიტიკის დასრულებაზე. მოძრაობის განცხადებით, მათი სურვილი, დამყარდეს მშვიდობა და დასრულდეს 17-წლიანი ომი, სისუსტეს არ ნიშნავს.

წერილი „თალიბანის“ პრესსპიკერმა ზაბიჰულა მუჯაჰიდდამ 10 ენაზე გაავრცელა.

ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ამერიკელები წერილს დაკვირვებით წაიკითხავენ და სწორად შეაფასებენ რეალობასთან კავშირს.

„თალიბანს“ სურს, ავღანეთის ტერიტორიიდან უცხო ქვეყნის ჯარები გავიდეს და აშშ-ისგან მხარდაჭერილი მთავრობა შეიცვალოს.

რუსული იარაღით ნატოში სურთ ყოფნა

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თურქეთს გაუჭირდება რუსული საზენიტო სარაკეტო სისტემის, C-400-ისა და ნატოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ერთმანეთთან ინტეგრირება. „საზოგადოებრივის“ ინფორმაციით მან აღნიშნა, რომ მინისტრების შეხვედრაზე თურქეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხი განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო.

„რა თქმა უნდა, ყველა სახელმწიფო დამოუკიდებლად წყვეტს, რომელი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა შეიძინოს, მაგრამ ნატოსთვის მნიშვნელოვანია, რომ შემდეგში ის ინტეგრირებული იყოს ალიანსის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემასთან და ნათელია, რომ C-400-თან მისი ინტეგრირება რთული იქნება“, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

2017 წლის სექტემბერში თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ანკარამ რუსეთისგან საზენიტო სარაკეტო სისტემა C-400 შეიძინა. მაშინ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განაცხადეს, რომ თურქეთი, რომელიც ალიანსის წევრია, მზად უნდა იყოს მოსალოდნელი შედეგისთვის.

მორალური ანაზღაურება ტერორისტებისთვის

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ ესპანეთის ძალოვანი სამართალდამცავები ორ ტერორისტთან არაჰუმანური მოპყრობის გამო დამნაშავედ ცნო.

ესპანეთი ვალდებულია მათ მორალური კომპენსაცია გადაუხადოს. ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

ცნობისთვის, ტერორისტებმა 2006 წლის 30 დეკემბერს ტერორისტული აქტი მოაწყვეს მადრიდის აეროპორტში, რის შედეგადაც ორი ადამიანი გარდაიცვალა. მისი მონაწილეები იგორ პორტუ და მატინ სარასოლა დაკავებულები იქნენ ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლების მიერ.

პორტუ ჰოსპიტალიზირებული იყო სამედიცინო დაწესებულებაში აყვანის შემდეგ, ხოლო სარასოლა მადრიდის მკაცრი რეჟიმის ციხეში გადაიყვანეს.

მოგვიანებით ტერორისტებმა განაცხადეს, რომ დაკავების შემდეგ ისინი სასტიკად ცემეს.

2010 წელს ეროვნულმა სასამართლომ ტერორისტებს, ასევე მესამე პირს, რომელიც ფიგურირებდა საქმეში, 1040 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და გარდაცვლილთა ოჯახებისთვის კომპენსაციის სახით 500-700 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

რუს ჰაკერს აშშ-ში თავისუფლების 12 წლით აღკვეთა მიუსაჯეს

ნიუ-ჯერსის სასამართლომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰაკერული შეტევისთვის გასამართლებულ ვლადიმირ დრინკმანს თავისუფლების 12 წლით აღკვეთა მიუსაჯა. „რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, ამავე საქმეში, კერძოდ 160 მილიონი საკრედიტო ბარათის მიტაცებაში, ბრალდებულ რუსეთის მოქალაქეს დმიტრი სმილიანეცს ოთხწლიანი პატიმრობა შეეფარდა. ვინაიდან მან პატიმრობაში უკვე გაატარა ეს ვადა, ჰაკერი, სასამართლო დარბაზშივე გაათავისუფლეს. რაც შეეხება დრინკმანს, საპატიმრო ვადის გასვლის შემდეგ, რუსეთში მისი დეპორტაციაა მოსალოდნელი. როგორც სააგენტო „როიტერსი“ იუწყება, დრინკმანის მოქმედებებით მიყენებულმა ზარალმა 300 000 დოლარი შეადგინა.

გამოძიების თანახმად, რუსმა ჰაკერებმა საფინანსო ინსტიტუტების, საგადასახადო სისტემისა და მაღაზიების კომპიუტერულ ქსელებში შეღწევის სქემა 2003 წელს შეიმუშავეს. პროკურორების განმარტებით, შეტევის ობიექტი აღმოჩნდა მინიმუმ 16 კომპანია, მათ შორის, ელექტრონული ბირჟა NASDAQ, მაღაზიების ქსელი 7-Eleven და Carrefour, ავიაკომპანია JetBLue.

დრინკმანი და სმილიანეცი ნიდერლანდებში 2012 წელს დაეპატიმრეს. ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით მათი ექსტრადირება აშშ-შიმოხდა. ამავე საქმეში მონაწილე რუსეთის კიდევ სამ და უკრაინის ერთ მოქალაქეზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ვინ რას წარმოადგენს

საგიჟეთში ორი პაციენტი ერთმანეთს შეხვდა.

— შენ ვინა ხარ? — ეკითხება ერთი მეორეს.

— რომის პაპი ვარ, — უპასუხებს მეორე.

— ვინ გითხრა, რომ პაპი ხარ?

— თვითონ უფალმა ღმერთმა.

საუბარში მესამე პაციენტი ჩაერთო:

— ტყუის, მე მაგისთვის ეგ არასდროს არ მითქვამს.

ცუდი მეხსიერება

აფთიაქში პატარა ბიჭი შედის, პროვიზორის სარკმელთან ჩერდება, ერთ ადგილზე ტოკავს და ხმას არ იღებს.

— პატარა ბიჭო, რა გინდა? — ეკითხება პროვიზორი.

— წამალი მინდა, მაგრამ სახელი აღარ მახსოვს, მხოლოდ ის ვიცი, რომ წამლის შემადგენლობაში მედიცილამინოდიმეტილფენილპირალონაფტილი შედის...

ვაჭრობის ხელოვნება

პარიზის ერთ-ერთ ფეხსაცმლის მაღაზიაში დირექტორი ახალ გამყიდველ გოგონას მოძღვრავს:

— თუ მყიდველმა 37 ზომა ფეხსაცმელი ითხოვა, უნდა შესძახო — რას ამბობთ, ნუთუ მართლა ასეთი პატარა ფეხი გაქვთ?! თქვენ 35 ზომა ფეხსაცმელი მოგერგებათ.

— მეც უნდა ავდგე და 35 ზომა უნდა შევთავაზო?

— არავითარ შემთხვევაში, 38 ზომა ფეხსაცმელი უნდა აყიდვინოთ...

დაქორწინებამდე

მამამ ქალიშვილის გათხოვების ამბავი რომ გაიგო, შვილს უსაყვედურა:

— ასე როგორ შეიძლება, იმ შენს საქმროს რატომ არ უთხარი, რომ ჯერ მე ვენახე?!

— როგორ არა, ვუთხარი, მაგრამ დამარწმუნა, მამაშენი არაერთხელ მინახავსო და მიუხედავად ამისა, მაინც მინდა შენი ცოლად მოყვანაო...

წმინდა უბრალოება

ჟურნალისტი ქალიშვილი ციხეში ეცნობა პატიმართა ცხოვრების პირობებს, განსაკუთრებით ერთ ახალგაზრდა პატიმარს მიაქცია ყურადღება.

— თქვენ, ალბათ, არყის მეტისმეტად სმამ მოგიყვანათ აქამდე...

— საიდან მომიყვანა?! — შესძახა პატიმარმა, — ნუთუ ფიქრობ, რომ აქ თუნდაც ერთ წვეთს იშოვი წამლად!

კაბა

მძიმე ავადმყოფი ცოლი ქმარს ეუბნება:

— დაიფიცე, რომ ჩემი სიკვდილის მერე თუ ცოლს შეირთავ, ჩემი კაბის ჩაცმის უფლებას არ მისცემ.

— რა თქმა უნდა, — უპასუხებს ცოტა არ იყოს, გაჯავრებული ქმარი. — თანაც კიდევ იმას სულ სხვანაირი ტანი აქვს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან ოჯველდღე იყიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4480; ევრო - 3.0247;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3961;
100 რუბლი - 4.2624; თურქული ლირა - 0.6448;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4445;
1000 სომხური დრამი - 5.0841.

ამინდი 16 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+11
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge